საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge

გამოდის 1918 წლიდან



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლოესია.

ხუთშაბათი, 21 დეკემბერი. 2017 წ. №257 (8394), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ნიკა მელია მართლაც აუტანელი ნაციონალი არამზადაა!

...მთავრობამ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ შეხვედრა დატოვა, მანამდე კი ნიკა მელიასა და გიორგი კვირიკაშვილს შორის დაპირისპირება მოხდა. მელიამ პერმიერ-მინისტრს განუცხადა, რომ ის ფორმალური პრემიერია და ივანიშვილმა მისი შემცვლელი უკვე მოძებნა, რასაც კვირიკაშვილის გაღიზიანება მოჰყვა. მან ნიკა მელიას აგინა: „ნაბიჭვარო, შენ მოგ...ავ კეთილებს...მაგ გაპრიალებულ თავს მოგაძრობ“...

ყველა ღირსეული კაცი ასე მოიქცეოდა. ყოველგვარი სისაძაგლის მკადრებელი ნაციონალები ამაზე უარესს იმსახურებენ.

პრემიერმა კვირიკაშვილმა მოთმენის ლიმიტი ამოწურა და...

თუმცაღა, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა გიორგი კვირიკაშვილმა ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ სხდომაზე მომხდარი ინციდენტის გამო მალევე საზოგადოებას ბოდიში მოუხადა.

„მოკლე განცხადებას გავაკეთებ. იქამდე, ვიდრე ჩვენ ვიქნებით დეპუტატები, თუ მთავრობის წევრები, თუნდაც პრემიერ-მინისტრი, ჩვენ ყველანი ვართ ადამიანები და ჩვენ ჩვენი ღირსება გაგვაჩნია. საზოგადოებას მინდა ბოდიში მოვუხადო ჩემი ზედმეტი ემოციებისთვის, მაგრამ სამწუხაროდ, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა, ყველას არ ეხება ეს, შეძლო ჩემი მდგომარეობიდან გამოყვანა და ეს არ იყო კარგი საყურებელი. თუმცა კიდევ ერთხელ ვამბობ, რა თანამდებობაზეც არ უნდა ვიყოთ, ჯერ ჩვენი ღირსების დაცვა გვავალია და მერე ყველაფერი დანარჩენი. ყველაფერი, რაც მანამდე ხდებოდა, იყო გამიზნული იმისთვის, რომ ეს მომხდარიყო და მე ამას ვერ დავუშვებდი, თუმცა კიდევ ერთხელ ვამბობ, ზედმეტი იყო ეს ემოციები“, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

ხატია დეკანოიძეც კი გვემუქრება... ⑥

ნათია თოდუა: მიხარია, ხელი რომ არ ჩავიქნიე!.. ⑫

არაფერია ახალი ამქვეყნად... გლობალიზმთან ბრძოლის სათავე... ⑨

ლომონოსოვიც კი ითხოვდა, ახალგაზრდა ბიჭები თავიანთზე უფროს ქალებზე აღარ დაქორწინებულიყვნენ“ ⑦

◎ დემოგრაფია

კვალი საუკუნეში ⑤



დიდი სახელი – ნიკო კეცხოველი

გამოჩენილი მეცნიერი, ჭეშმარიტი პატრიოტი

◎ ისეთ ხუმრობას რა ვუთხრა...

კეკე გელაძის ბარათი გიული ალასანიას

გიული, გოგო!

რაღა ჩემი შვილის დაბადების დღეს დაამთხვიე შენი დამთხვეული შვილის დაბადების დღე? რახან ისტორიკოსი ხარ, ატყობ, შეცდომაც რომ ისტორიული მოგვივიდა?! რაღა განგებ 21 დეკემბერს, ბარემ 20 დეკემბერს გაჭინთულიყავი!..



გამოიწერეთ 100 წლის გაზეთი, რასაც აქ წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

ნაცებსა და „ევროპულ საქართველოზე“ გაბრაზებული მთელი საქართველო!

მწვავე დაპირისპირება მმართველ გუნდსა და ოპოზიციას შორის

საქართველოს პარლამენტში გუშინ საპარლამენტო უმცირესობასთან პრემიერ-მინისტრობისა და მთავრობის წევრობის კანდიდატების შეხვედრა მწვავე კამათით დასრულდა.

პარლამენტში დაპირისპირება „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის გიგა ბოკერიას კომენტარმა გამოიწვია, რომელმაც მმართველი გუნდი ევროსაბჭოში რუსეთისთვის ხმის მიცემის უფლების აღდგენის საკითხზე საქართველოს მკაფიო პოზიციის აღუნიშნაობისთვის გააკრიტიკა.

ბოკერიას თქმით, „ქართული ოცნების“ სლოგანია „სანამ გაგვდის, ასე გავაგრძელებთ“, მან მმართველი გუნდის საქმიანობას დანაშაულებრივი უწოდა.

„უკრაინაში აგრესიის შემდეგ, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ რუსეთს შეუჩერა ხმის უფლება. ამ რეზოლუციაში საქართველოს პრობლემაც ნახსენებია. ეს კარგია ჩვენთვის. სამწუხაროდ, არიან ძალები, რომლებიც ცდილობენ, ხმა დაუბრუნონ რუსეთს ისე, რომ მას არ შეუსრულებია რეზოლუციის პირობა. ბუნებრივია, საქართველოს მიზანია, რომ თუ ვინმე ცდილობს, რუსეთს ეს სანქციები მოუხსნას, ჩვენ ამის წინააღმდეგ ხმა ავიმაღლოთ. როგორც გაირკვა, ბოლო განხილვისას კომიტეტზე, საქართველოს პოზიცია საერთოდ არ დაუფიქსირებიათ. დღეს ვკითხეთ ბატონ ჯანელიძეს, ინსტრუქცია გაქვთ თუ არა მიცემული ელჩისთვის, რომ ყველა დონეზით დაუპირისპირდეთ რუსეთისთვის ამ სანქციის მოხსნას, პასუხი მივიღეთ ზოგადი, რომ გაცემულია ინსტრუქცია იმოქმედოს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. არ გაქვთ ინსტრუქცია და ეს არის დანაშაულებრივი საქმიანობა. სანამ გაგვდის, ასე გავაგრძელებთ, ეს არის თქვენი სლოგანი“, — მიმართა ბოკერიამ მმართველ გუნდს, რაზეც პრემიერმა უპასუხა, რომ არც ერთი საერთაშორისო ფორმატი არ ყოფილა, სადაც საქართველო არ იყო სოლიდარული უკრაინისადმი.

მისივე თქმით, კონკრეტულ შემთხვევაში საქართველო მოქმედებს ევროსაბჭოს პრინციპების და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით. როგორც პრემიერმა აღნიშნა, მათ არასდროს ჰქონიათ კაპიტულანტური პოზიცია ოკუპანტის მიმართ.

ბოკერიას კითხვას, გაბრაზდა თუ არა პრემიერი მის განცხადებაზე, კვირიკაშვილმა უპასუხა:

— მე კი არა მთელი საქართველოა თქვენზე გაბრაზებული. ის, რაც თქვენ საქართველოს წინაშე გაქვთ გაკეთებული, ღმერთმა დაიფაროს ყველა პოლიტიკური ძალა. დანაშაული ვის აქვს ჩადენილი, ასახულია იმ 7%-ში, რომელიც ჩვენმა მოსახლეობამ მოგცათ არჩევნებზე! — დასძინა კვირიკაშვილმა.

საფრანგეთის საელჩო კომპანია CITROEN GEORGIA-სთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

საქართველოში საფრანგეთის საელჩო კომპანია Citroen Georgia-სთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„კომპანია Citroen Georgia ვერ იქნება დაკავშირებული Citroen-ის ბრენდთან, რადგან Automobiles Citroen SA-სა და აღნიშნულ იურიდიულ პირს შორის არ ყოფილა და არ არის სამართლებრივი ურთიერთობა.

აღნიშნული იურიდიული პირი არ ყოფილა და არ არის საქართველოს ტერიტორიაზე ლეგალური წარმომადგენელი, ავტორიზებული იმპორტიორი და მიმწოდებელი. Automobiles Citroen SA უარყოფს ნებისმიერ კავშირს კომპანია Citroen Georgia-ს მიერ ღია ბაზრის კონტექსტში გაკეთებულ ნებისმიერ კომერციულ შეთავაზებასთან“, — აღნიშნულია განცხადებაში.

კომპანია Citroen Georgia გია გაჩეჩილაძის სიძეს, გიორგი შარაშიძეს ეკუთვნის. კომპანია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უკანონო გადაწყვეტილებას ედავება და კარტელური გარიგებების არსებობაზე საუბრობს.

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას ერიკ ჰოეგი უხელმძღვანელებს

აძამდე ჰოეგი მისიის ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობას იკავებდა, ხოლო მიმდინარე წლის პირველი სექტემბრიდან კი მისიის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი იყო.

ერიკ ჰოეგი 16 წლის განმავლობაში დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა. დიპლომატიური კარიერის განმავლობაში ის მუშაობდა დანიის საელჩოებში ტალინში, მოსკოვსა და გაერო-ში დანიის მუდმივ წარმომადგენლობაში.

„საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მნიშვნელოვანი ელემენტია ადგილზე უსაფრთხოებისა და სტაბილური სიტუაციის უზრუნველყოფისთვის. ჩემთვის დიდი პატივია ამ თანამდებობაზე დანიშვნა. ყველაფერს გავაკეთებ, რათა განვაგრძო მისიის მიერ აქამდე განხორციელებული შესანიშნავი სამუშაო“, — განაცხადა ერიკ ჰოეგმა.

ზურაბ პატარაძემ ციტრუსის სანარმოები დაათვალიერა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ სოფლის მეურნეობის მინისტრთან ავთანდილ მესხიძესთან და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერთან მირიან ქათამაძესთან ერთად დაბა ჩაქვში ციტრუსის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმო მოინახულა და ციტრუსის ჩაბარების და გადამუშავების პროცესს ადგილზე გაეცნო.

ზურაბ პატარაძის თქმით, ციტრუსის სეზონი დასასრულს უახლოვდება. შეუფერხებლად მიმდინარეობს როგორც სტანდარტული, ისე არასტანდარტული მანდარინის ჩაბარების პროცესი. დღეის მდგომარეობით, რეგიონიდან უკვე ექსპორტირებულია 16 300 ტონა სტანდარტული მანდარინი. რაც შეეხება არასტანდარტულ მანდარინს, უკვე მიღებული და გადამუშავებულია 4 700 ტონა. ჩაქვის ციტრუსის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმო მიმდინარე წელს გეგმავს 700 ტონამდე ციტრუსის ნაყოფის მიღებას. დღეის მდგომარეობით, 440 ტონამდე ციტრუსი უკვე ექსპორტირებულია.

ქართული დიპლომატია აქტიურად მუშაობს საზღვარგარეთ საქართველოს მდიდარი კულტურის პოპულარიზაციისთვის!

მიხეილ ჯანელიძემ პარლამენტის წევრებთან გუშინ კულტურული დიპლომატიის მიმართულებით მიღწეული წარმატებები და სამომავლო გეგმები განიხილა.

„მსოფლიოს წინაშე, საქართველოს, უძველესი ისტორიისა და მდიდარი კულტურის, მაღალი ინტელექტუალური პოტენციალის მქონე, წარმატებულ და რეფორმატორ თანამედროვე ქვეყნად წარმოჩენა საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს“, — განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ და ამ მიმართულებით 2017 წელს მიღწეული შედეგები დადებითად შეაფასა. აღინიშნა 50-ზე მეტ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავი; საქართველო-გერმანიის წლის ფარგლებში განხორციელდა მრავალფეროვანი მასშტაბური ღონისძიებები; ბორდოში, ღვინის ცივილიზაციის მსოფლიო ცენტრში გაიმართა გამოფენა — „საქართველო — ღვინის აკვანი“; ინდოეთიდან ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები საქართველოში ჩამოაბრძანეს; გაფორმდა საქართველოსა და თურქეთს შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის შეთანხმება; შემუშავდა კულტურული დიპლომატიის სტრატეგია და სხვა.

მიხეილ ჯანელიძემ დეპუტატებს ასევე გააცნო უახლოეს წლებში დაგეგმილი ღონისძიებები და მათ შორის ხაზგასმით აღნიშნა 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საპატიო სტუმრის სტატუსით საქართველოს მონაწილეობა, 2018 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავთან დაკავშირებით საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში სხვადასხვა ღონისძიებების გამართვა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 100 წლისთავის აღნიშვნა. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 100 წლისთავის აღნიშვნამ მსოფლიო მნიშვნელობა შეიძინა მას შემდეგ რაც UNESCO-ს გადაწყვეტილებით, იუბილე შევიდა იმ ღირსშესანიშნავ თარიღთა სიაში, რომლებიც აღინიშნება ორგანიზაციის უშუალო მონაწილეობითა და მხარდაჭერით.

მიხეილ ჯანელიძე: საქართველოს მთავრობა ევროკავშირთან თანამშრომლობის საგზაო რუკას მოამზადებს

საქართველოს მთავრობა ევროკავშირთან თანამშრომლობის მიმართულებით საგზაო რუკის შექმნას გეგმავს, – ამის შესახებ საპარლამენტო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ განაცხადა.

„იმისათვის, რომ კიდევ უფრო კონცენტრირებული იყოს ჩვენი მუშაობა ევროინტეგრაციის მიმართულებით, ჩვენ ვგეგმავთ, შევიმუშავოთ საგზაო რუკა ევროკავშირისკენ, რომელიც კონცეპტუალურად გულისხმობს ოთხ ძირითად მიმართულებას:

პირველი – ეს არის საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ასოცირების შეთანხმებისა და DCFTA-ის სრული და ეფექტიანი იმპლემენტაციის გზით. ეს თავისთავად გულისხმობს ევროკავშირის კანონმდებლობის დაახლოებით 70%-ის ჩვენს საკანონმდებლო სივრცეში დანერგვას, ჩვენი დემოკრატიული და სექტორული ინსტიტუტების ევროპული სტანდარტით განვითარებას;

მეორე მიმართულება არის ასოცირების შეთანხმების ვალდებულებების მიღმა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლის პროცესი, რათა აღმოვაჩინოთ დამატებითი საკანონმდებლო მიახლოების საჭიროება და ამ სამუშაოს შედეგად მოვამზადოთ ნიადაგი ევროკავშირში ინტეგრაციის შემდგომი ნაბიჯებისთვის;

მესამე მიმართულება ამ საგზაო რუკის იქნება 6 ნაბიჯი, ანუ ის სხვაობა, რაც არსებობს ასოცირების შეთანხმებასა და კიდევ უფრო მეტ ევროპულ კანონმდებლობასთან და ინსტიტუციურ პრაქტიკასთან დაახლოებას შორის, ამ მიმართულებით შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა, ანუ ასოცირების შეთანხმების მიღმა ევროკავშირთან სამართლებრივი და ინსტიტუციური დაახლოება, ევროკავშირის სპეციალიზებულ სააგენტოებთან მაქსიმალური ინტეგრაცია, ევროკავშირის პროგრამებში საქართველოს მონაწილეობის ეფექტურობის გაზრდა, ევროკავშირთან დარგობრივი თანამშრომლობის კიდევ უფრო მეტად ინტენსიფიკაცია და გაღრმავება, თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში გაძლიერებული თანამშრომლობა და ევროკავშირთან ენერგეტიკის, ტრანსპორტის, ტელეკომუნიკაციებისა და ვაჭრობის სფეროებში ურთიერთკავშირების გარღმავება;

საგზაო რუკის მეოთხე მიმართულება იქნება აქტიური მუშაობა აღმოსავლეთ პარტნიორობის „20 შედეგი 2020 წლისათვის“ დოკუმენტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად“, – განაცხადა ჯანელიძემ.

ახალი დეპარტამენტი – შინაგან საქმეთა სამინისტროში

შსს-ში ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით ახალი დეპარტამენტი შეიქმნება, – ამის შესახებ რამდენიმე კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე შს მინისტრობის კანდიდატმა გიორგი გახარიამ განაცხადა.

„ხაზი მინდა, გავუსვა ისეთ კომპონენტს შსს-ში, როგორიც არის ადამიანის უფლებებზე ზრუნვა. ამ ნაწილში ჩვენ ვხედავთ, რომ გამოწვევები საკმაოდ მაღალია, შესაბამისად, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება ცენტრალური აპარატის დონეზე შევქმნათ დამატებითი დეპარტამენტი, რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება ადამიანის უფლებები. ვფიქრობ, ეს დეპარტამენტი იქნება დროებითი, იქამდე სანამ არ დასრულდება უწყებაში საგამოძიებო კომპონენტის საბოლოოდ დახვეწა და რეფორმირება. ეს სპეციალური უწყება იზრუნებს ისეთი სახის დანაშაულზე, როგორიც არის ქალთა მიმართ ძალადობა, არასრულწლოვნების დანაშაული და ა.შ“, – განაცხადა გახარიამ.

უნდა გაძლიერდეს უბნის ინსპექტორების ინსტიტუტი

ე.წ. უბნის ინსპექტორების ინსტიტუტმა კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს მოქალაქეებთან ურთიერთობის კომპონენტი, – განაცხადა გიორგი გახარიამ. მისი თქმით, ამ რეფორმის ძირითადი შინაარსი უკვე არსებობს და უახლოეს პერიოდში, იანვრიდან მისი განხილვა საერთაშორისო პარტნიორებთან მოხდება. თებერვალში კი უკვე შესაძლებელი იქნება პირველადი დრაფტის პარლამენტისთვის წარდგენა.

„კრიმინალური პოლიციის ნაწილში დღეს აუცილებლად უნდა გამოიყოს რამდენიმე პრინციპულად მნიშვნელოვანი ნაწილი. პირველი ეს გახლავთ ის, რასაც ჰქვია საგამოძიებო კომპონენტის გაძლიერება. რა თქმა უნდა ცალკე უნდა იყოს დეტექტივთა დივიზიონი, თუმცა აქაც აუცილებელია ერთიანი სინერგიის ეფექტი. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვთვლით, რომ ცალკე არის გამოსაყოფი მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი, ე.წ. უბნის ინსპექტორების ინსტიტუტი, რომელმაც კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს მოქალაქეებთან ურთიერთობის კომპონენტი. ეს არის ის ძირითადი მიმართულებები, რის საფუძველზეც კონცეპტუალურად უნდა მოხდეს კრიმინალური პოლიციის რეფორმირება და შემდგომ მისი განვითარება“, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

მოვიდა დრო საპატრულო პოლიციის რეფორმირების შემდგომ ეტაპზე გადასვლისა...

შს მინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას განცხადებით, საპატრულო პოლიცია რეფორმირების შემდგომ ეტაპზე გადასვლას საჭიროებს.

„მოვიდა დრო საპატრულო პოლიციის რეფორმირების შემდგომ ეტაპზე გადასვლის. რამდენიმე წლის წინათ საპატრულო პოლიციამ განიცადა რეფორმირება და ეს რეფორმა წარმატებით ჩატარდა, თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ რეფორმის ძირითადი კომპონენტი შეეხო ე.წ. ფრონტის ნაწილს. სამწუხაროდ, ის პროცესები და პროცედურები, რომელიც უნდა იყოს თვითონ სისტემაში და ინსტიტუტში, საჭიროებს დახვეწას. საერთოდ არ მუშაობს ისეთი კომპონენტები, როგორიც არის გაციფროვნება და დიჯიტალიზაცია. მოსახლეობაში საპოლიციო მომსახურებაზე და სერვისებზე მოთხოვნა იზრდება და ჩვენ თუ ე.წ. ბექის კომპონენტი სასწრაფოდ არ დავალაგეთ, საპატრულო პოლიციის შემდგომი განვითარება იქნება რთული. ამიტომ, ის პირველი ამოცანები, რომელიც დღეს საპატრულო პოლიციის წინაშე დგას, არის ის, რომ გახდეს უფრო სწრაფი და მოქნილი“, – აღნიშნა გახარიამ პარლამენტში, საკომიტეტო სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას.

სტატისტიკა როგორც ყოველთვიურად, ისე კვარტალურად გამოქვეყნდება...

შსს დანაშაულის სტატისტიკის გამოქვეყნებას აღადგენს, – ამის შესახებ განცხადება გიორგი გახარიამ გააკეთა. მისი შეფასებით, მონაცემების გამოქვეყნების შეწყვეტა არის ჩავარდნა უწყების მუშაობაში.

„სტატისტიკური მონაცემების ნაწილში, ეს არის ჩავარდნა. ვიღებ ჩემ თავზე ვალდებულებას და გპირდებით, რომ ჩაშლილი სტატისტიკური მონაცემები როგორც ყოველთვიურად, ისე კვარტალურად იქნება გამოქვეყნებული“, – განაცხადა გახარიამ.

დიმიტრი ქუმსიშვილი: მცირდება უმუშევრობის დონე, ეკონომიკის ყველა სექტორში ზრდა გვაქვს

2017 წლის იანვარ-სექტემბერში ბრუნვისა და გამოშვების ზრდა დაფიქსირდა ეკონომიკის ყველა სექტორში, – ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრობის კანდიდატმა დიმიტრი ქუმსიშვილმა რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის, აგრარულ საკითხთა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა. მისივე თქმით, ეკონომიკური ზრდისა და ბიზნესსექტორის განვითარების პარალელურად, მცირდება უმუშევრობის დონე ქვეყანაში. ქუმსიშვილის განცხადებით, 2016 წელს უმუშევრობის დონე 0.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 11.8% შეადგინა. ქუმსიშვილის განცხადებით, 2016 წელს უმუშევრობის დონემ ბოლო 13 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია.

როგორც მან აღნიშნა, **2017 წლის პირველ ნახევარში ეკონომიკურ ზრდაში ყველაზე მაღალი წვლილი წმინდა ექსპორტმა შეიტანა და 4.0 პროცენტული პუნქტი შეადგინა.**

– 2017 წლის მესამე კვარტალში ბიზნეს სექტორის დასაქმება 6.3%-ით გაიზარდა და წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 37,911-ით მეტი ადამიანი დასაქმდა, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

თეა წულუკიანი: ჩვენი პრიორიტეტია, აგვისტოს ომის საქმეზე ვაჩვენოთ, რომ ჩატარდა ეთნიკური წმენდა

„ჩვენი პრიორიტეტები იყო და იქნება მომავალში ის, რაც აძლიერებს სახელმწიფოს საერთაშორისო ასპარეზზე თუ ქვეყნის შიგნით. ეს არის ახალი კანონები, განვითარება, ინსტიტუციური დემოკრატიის კანონებით მშენებლობები, ინფრასტრუქტურული, იმისთვის, რომ სახელმწიფო იყოს ხალხთან ახლოს, მათ შორის, სოფლად, და სოფლად გაიცეს სერვისები, ეს მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის, ხანდაზმულებისთვის; ჩვენი პრიორიტეტია საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ინტერესების დაცვა, მათ შორის, სახელმწიფოთა შორის დავებზე სტრასბურგში, რუსეთის წინააღმდეგ ჰაგის გამოძიება, რომ ჩვენ აგვისტოს ომის საქმეზე ვაჩვენოთ, რომ ჩატარდა ეთნიკური წმენდა და ჩვენ წინააღმდეგ ჩადენილ იქნა სხვა დანაშაულები; ჩვენი პრიორიტეტია ასევე, მრავალი სხვა ის რეფორმა, რაც შეიძლება ჩაითვალოს, რომ თითქოს არის მეორე პლანზე, მაგრამ სინამდვილეში მოქალაქისთვის პირველ პლანზეა – იქნება ეს ნოტარიატი, სასამართლო გადაწყვეტილებების სწრაფი აღსრულება და მრავალი სხვა, თუნდაც, ყოფილი პატიმრებისთვის გრანტების პროგრამების გაგრძელება, რათა მათ შეძლონ, ფეხზე დადგნენ ფინანსურად და საკუთარი ოჯახი არჩინონ“**, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა.

„პიზიარებ თქვენს პოლიტიკურ მწუხარებას... ვანო არ უნდა გამოვიდეს ციხიდან“

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი მერაბიშვილის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებას კიდევ ერთხელ ეხმაურება და ამბობს, რომ დიდმა პალატამ მერაბიშვილი არ აღიარა პოლიტიკურ პატიმრად, რაც მისი თანაგუნდელების ჩავარდნაა.

„რაც შეეხება მერაბიშვილის საქმეს, მოდით, ახლა ვიტყვი, მე ვიზიარებ თქვენს პოლიტიკურ მწუხარებას. თქვენ გსურდათ დიდი პალატისთვის გეთქმევინებინათ, რომ ვანო არის პოლიტიკური პატიმარი, პირიქით, დიდმა პალატამ თქვა, რომ ის არ არის პოლიტიკური პატიმარი. ის, რომ მე-18 მუხლი დაირღვა ეს არ არის ის, რასაც თქვენ ელოდით. თქვენ ელოდით პოლიტიკური პატიმრის სტატუსს, ვიზიარებ თქვენს ჩავარდნას. ვანო უნდა გამოვიდეს თუ არა ციხიდან მე თუ მეკითხებით, ის არ უნდა გამოვიდეს, რადგან იხდის სასჯელს. ეს არის ორჯერ ორი ოთხი,“ – განაცხადა წულუკიანმა.

სატრანზიტო ტვირთები არსად არ გამქრალან!

ნავთობი რკინიგზიდან ისევ მილსადენებში დაბრუნდა!

საქართველოზე გამავალი სატრანზიტო ტვირთის შემცირებამ უკვე მასობრივი ხასიათი მიიღო. არასასურველი ტენდენციის შეჩერება წლიდან წლამდე ვერ ხერხდება. 2017 წლის მესამე კვარტალში „საქართველოს რკინიგზის“ შემოსავლები, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 8%-ით შემცირდა, ხოლო მეორე კვარტალთან შედარებით 21%-ით გაიზარდა. წლის პირველ 9 თვეში სახელმწიფო კომპანიის შემოსავლები წლიურად 6%-ით შემცირდა.

მესამე კვარტალში რკინიგზის შემოსავლებმა 108 მილიონი ლარი შეადგინა, წლის პირველ 9 თვეში კი — 303 მილიონი. შედარებისთვის, გასული წლის 9 თვეში „საქართველოს რკინიგზის“ შემოსავლები 323 მილიონს შეადგენდა.

რკინიგზაში ამბობენ, რომ შემოსავლების შემცირებაზე ბოლო პერიოდში ლარის გაუფასურებამაც იქონია გავლენა. სატრანსპორტო შემოსავალი რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის გაცვლით კურსზე, რადგან ტარიფების უმეტესობა დოლარშია დენომინირებული.

2017 წლის განმავლობაში მეზობელი ქვეყნების ტვირთების მიმართ საქართველოს რკინიგზის მიერ განხორციელებული იქნა სატარიფო პოლიტიკაში 14 ცვლილება-დამატება, რომლის მიზანს წარმოადგენდა ცალკეული ტვირთებისათვის დამატებითი პრეფერენციების მინიჭება, რითაც მიღწეული უნდა ყოფილიყო ბოლო წლებში დაკარგული ტვირთნაკადების ნაწილობრივი ან სრული კომპენსაცია.

„სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრში“ კი მიიჩნევენ, რომ საქართველოს რკინიგზის მცდელობა დამატებითი ტვირთის მოსაზიდად არასაკმარისია. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი ღონისძიებები, თუნდაც საკანონმდებლო დონეზე „ტრანზიტის ხელშეწყობის“ კანონის შემოღება.

„2017 წელს სატარიფო პოლიტიკაში განხორციელებულმა ცვლილებებმა ვერ უზრუნველყო 2012 წელს დაწყებული გადაზიდული ტვირთების შემცირების ტენდენციის შეჩერება, მაგალითად, სატრანზიტო გადაზიდვების მიმართულებით კლება თვალშისაცემია. 2017 წელს ეს მაჩვენებელი 4.9 მლნ ტონას მიაღწევს, რაც 2012 წელთან შედარებით (12.1 მლნ ტონა) კლება 59%-იან კლებას ნიშნავს“, — აცხადებენ სატრანსპორტო კვლევის ცენტრში.

ამასთან, რკინიგზაზე 2017 წელს განხორციელებული სატარიფო შეღავათები მიმართული იქნა, ძირითადად, ქიმიური ტვირთების მოსაზიდად, რაც მაღალრისკიანი ტვირთებია. „ასეთი სახის ტვირთების გადაზიდვა მოითხოვს სპეციალური ინფრასტრუქტურას ნავსადგურებში და მოძრავ შემადგენლობას.

რამდენად გამართლებულია „საქართველოს რკინიგზის“ მხრიდან მაღალრისკიანი, ტვირთების მიმართ პრეფერენციების მინიჭების ხარჯზე დამატებითი ტვირთების მოზიდვა?“ — კითხულობენ ორგანიზაციაში.

ფინანსთა ახალი მინისტრის მამუკა ბახტაძისთვის, რომელიც ბოლო წლებში სწორედ „საქართველოს რკინიგზას“ ხელმძღვანელობდა, გაუგებარია რომელი ტრანზიტული პოტენციალის დაკარგვაზეა საუბარი, როდესაც ირგვლივ, რაც კი რკინიგზებია და ქვეყნებია, ყველაზე საუკეთესო მაჩვენებელი საქართველოს აქვს.

„ეს ძალიან გაუგებარია ჩემთვის. კომპანიის მოგებას რაც შეეხება, ეს არის „საქართველოს რკინიგზის“ მარჟები და როცა ჩვენ ვსაუბრობთ 2014-15 წლებზე, ეს იყო საქართველოს რკინიგზისთვის საუკეთესო. „საქართველოს რკინიგზა“ არის სატრანზიტო პოტენციალის ძალიან მნიშვნელოვანი ობიექტი, მაგრამ არის თუ არა მილსადენები, რომელიც ასევე საქართველოზე გადის, სატრანზიტო პოტენციალის ნაწილი? — რასაკვირველია, არის. ვნახოთ მილსადენების მონაცემები. ბოლო 3-4 წლის განმავლობაში, როცა ნავთობი 100 დოლარი ღირდა, პრემიალური გაყიდვის მიზნით მას რკინიგზაზე გადაადგილება ერჩივნა და როცა ჩამოვიდა 50 დოლარზე, მან აირჩია მისთვის უფრო ოპტიმალური ტრანსპორტი. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ საქართველომ დაკარგა ეს ტვირთი, უბრალოდ, მილსადენებში გადავიდა და მისი მეშვეობით ისეთივე სატრანზიტო ნაწილია ჩვენი ქვეყნისთვის, როგორც „საქართველოს რკინიგზის“ შემთხვევაში იყო“, — თქვა მამუკა ბახტაძემ.

ბექა დანელია

მაღალმთიან სოფლებში სამედიცინო მომსახურება თანდათან უმჯობესდება

„მაღალმთიან რეგიონებში პირველადი სამედიცინო დახმარების მინიმალური სტანდარტები საკმარისია, როგორც პაციენტის დიაგნოსტიკისთვის, ასევე პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის“, — ასე ეხმაურება „კომერსანტთან“ საუბრისას მაღალმთიან რეგიონებში არსებულ პირველად სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებულ პრობლემას ჯანდაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი **ძეთევან გოგინაშვილი**.

მაღალმთიან სოფლებში პირველადი სამედიცინო დახმარების მიღება კვლავ პრობლემად რჩება. „კომერსანტი“ აღნიშნულ პრობლემაზე გასულ წელსაც წერდა. მიუხედავად ხელისუფლების არაერთი დაპირებისა და განცხადებისა, ბევრ სოფელში პირველადი ჯანდაცვის ობიექტები კვლავ არ არსებობს. იქ კი, სადაც ფუნქციონირებს, ან შესაბამისი აპარატურა საერთოდ არა აქვთ, ან პრობლემა საჭირო პროფილის ექიმების არარსებობაა.

პირველადი დახმარების და ზოგადად სამედიცინო მომსახურების პრობლემებს კერძო სექტორშიც ადასტურებენ. როგორც მაღალმთიან რეგიონებში — ბაკურიანში, გუდაურსა და მესტიაში მდებარე საოჯახო სასტუმროების წარმომადგენლები „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებენ, მათთან სამედიცინო მომსახურების პრობლემა ყველაზე მწვავედ დგას. სერიოზული დაზიანების შემთხვევაში პაციენტისთვის შესაბამისი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა ადგილზე ვერ ხდება და ისინი სამკურნალოდ დიდ ქალაქებში გადაჰყავთ. მათივე თქმით, არ არსებობს პირველადი დახმარებისთვის საჭირო შესაბამისი ინვენტარი, არ მუშაობს აფთიაქი და ა.შ.

„კომერსანტი“ აღნიშნულ საკითხზე ჯანდაცვის სამინისტროს დაუკავშირდა, რათა დეტალურად გაერკვია ამჟამად სულ რამდენი მედპერსონალი და ამბულატორია ემსახურება მთის მოსახლეობას.

როგორც ჯანდაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსმა ქეთევან გოგინაშვილმა განაცხადა, საქართველოს მასშტაბით მაღალმთიან რეგიონებს ამ ეტაპზე 549 ექიმი და 938 ექთანი ემსახურება. რაც შეეხება ამბულატორიების რაოდენობას, მისივე თქმით, მაღალმთიან რეგიონებში ახლა დაახლოებით 500-მდე ამბულატორია მოქმედებს.

გოგინაშვილის განცხადებით, აღნიშნული მდგომარეობა ამ ეტაპზე აკმაყოფილებს სტანდარტებს და მთის მოსახლეობის მოთხოვნასაც.

ლიკა გურაბანიძე

ნუ გეშინიათ, დენის ტარიფი მცირედით გაიზრდება!..

იმის შესახებ, შეიცვლება თუ არა გადასახადი, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში ჯერჯერობით არ საუბრობენ. საბოლოო გადაწყვეტილება 1 კვირაში იქნება ცნობილი. თუმცა, უკვე შეიძლება ითქვას, რომ ელექტროენერგია არ გაძვირდება ანდა მატება უმნიშვნელო იქნება. ასეთი პოზიცია სემეკის წევრებსა და საქმეში ჩახედული ენერგეტიკოსების განცხადებებში უკვე იკვეთება.

მარეგულირებელი კომისია დენის ტარიფზე 25 დეკემბრიდან მოყოლებული იმსჯელებს და მაქსიმუმ 28 დეკემბრისთვის ყველაფერი ნათელი იქნება. სემეკის წევრი **გიორგი ფანგანი** განმარტავს, რომ წინასწარ იმის თქმა, გაიზრდება თუ არა ელექტროენერგიისა და წყლის სამომხმარებლო ტარიფი, ნაადრევია, სამომხმარებლო ტარიფის დადგენისას საჭიროა ყველა კომპონენტის გათვალისწინება.

ამჯერად სემეკის სხდომაზე თბოსადგურების წარმომადგენლებმა წამოაყენეს პრეტენზია. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ გენერალური დირექტორის მრჩეველი სტრატეგიულ საკითხებში **ლევან ვეფხვაძე** ითხოვს, რომ გადაიხედოს ის მეთოდოლოგია, რათა ვალუტის კურსთა სხვაობის ასახვა სწრაფადვე მოხდეს წარმოების ტარიფში, რაც დაეხმარება კომპანიებს საკუთარი საქმიანობის წარმართვაში.

„ჩვენ შევთავაზეთ სემეკს, რომ მყისიერად მოხდეს კურსთა ცვლილების ასახვა ცვლად ოპერატიულ ხარჯებთან მიმართებაში იმიტომ, რომ თბოსადგურები ვყიდულობთ იმპორტირებულ გაზს დოლარში. ჩვენი გრძელვადიანი ხედვაა, რომ კომისიამ მეთოდოლოგიას გადახედოს და ყოველთვიური სქემით აკორექტიროს ტარიფი და არა ექვსთვიანი ან ერთწლიანი ინტერვალით“, — განაცხადა ვეფხვაძემ.

სემეკში ამასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვთ. გიორგი ფანგანის განცხადებით, მოქმედი მეთოდოლოგია დარგში არსებულ მოთხოვნებს სრულად შეესაბამება.

„შეუძლებელია რომელიმე ტარიფის ყოველთვიურად დათვლა. დღევანდელი მეთოდოლოგია სრულად პასუხობს დარგში არსებულ მოთხოვნებს, შესაბამისად, კომპანიების ინტერესი წინასწარ არის გათვალისწინებული. თუ კომპანიებს რამე ზარალი აქვთ, სემეკი იმსჯელებს, რომ ეს დაკომპენსირდეს“, — აცხადებს ფანგანი.

დღეს-ხვალ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ელექტროენერგიის წარმოების ტარიფების დადგენას ეცდება. წინასწარი მოლოდინით ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი არ უნდა გაიზარდოს.

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი არ უნდა გაიზარდოს. დღეს რაც ვნახეთ, შეიძლება, გაიზარდოს თბოსადგურების გარანტირებული სიმძლავრის საფასური, მხოლოდ — არა ყველა კომპანიისთვის. ამ ეტაპზე სხვადასხვა მოცემულობა გვაქვს“, — განაცხადა ფანგანმა.

თუკი ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი არ გაიზარდა, ეს დადებითი სიგნალი იქნება ელექტროენერგიის ფასის შენარჩუნებისთვის. მით უფრო, რომ ცოტა ხნის წინათ თბოსადგურების მიერ გამომუშავებული ენერგიის ღირებულებაც შემცირდა.

სამომხმარებლო ფასების ზრდას არ გამორიცხავს ენერგეტიკოსი **გია არაბიძე,** თუმცა აღნიშნავს, რომ ფასნამატი დიდი არ იქნება და ამას მოსახლეობა უმტკივნეულოდ გადაიტანს. ლარი, როგორც იქნა, გამყარდა, შესაბამისად, ეს კომპონენტი ვეღარ იქონიებს გავლენას ტარიფზე. რჩება ინვესტიციები, თუმცა ამ კომპონენტში მდგომარეობა არ გართულდება.

„ვფიქრობ, რაღაც ცვლილება ტარიფში იქნება, თუმცა არა ისეთი, რომ მოსახლეობაზე უარყოფითად იმოქმედოს. მაგალითად, ენგურჰესის გენერაციის ტარიფი უნდა გაზარდონ. უნდა აღინიშნოს, რომ ლარის კურსი მოწესრიგდა, შესაბამისად, ეს კომპონენტი ვეღარ იქონიებს გავლენას დენის გადასახადზე. ასე რომ, რამე კატასტროფული ზრდა ტარიფზე არ იქნება“, — აღნიშნა გია არაბიძემ.

დანიელ ბექაური

გამოჩენილი მეცნიერი, ჭეშმარიტი პატრიოტი



დიდი სახელი – ნიკოლოზ (ნიკო) კეცხოველი

120 წელი შესრულდა გამოჩენილი მეცნიერის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნიკოლოზ (ნიკო) კეცხოველის დაბადებიდან.

იგი იყო საქართველოს ფლორის, კულტურული მცენარეებისა და მათი წარმოშობის ისტორიის დიდი მცოდნე და მკვლევარი, სამეცნიერო-კვლევითი საქმის ნიჭიერი ორგანიზატორი, სამეცნიერო ცოდნის პოპულარიზატორი, პედაგოგი, მწერალი და მრავალი სპეციალისტის აღმზრდელი.

ნ. კეცხოველი დაიბადა 1897 წლის 26 დეკემბერს სოფელ ტყვიავში, მასწავლებლის ოჯახში. 1907 წელს შევიდა თბილისის ქართულ გიმნაზიაში, რომელიც 1918 წელს დაამთავრა.

ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში გამოავლინა მისწრაფება ლიტერატურული მოღვაწეობისადმი: 1911 წელს საბავშვო ჟურნალ „ნაკადულში“ გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობები.

1919 წელს ნ. კეცხოველი შევიდა თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე.

1921 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის ბოტანიკურ ბაღში და შეუდგა საქართველოს ზოგიერთი რაიონის მინდვრის კულტურული და სარეველა მცენარეების კვლევას. 1924-1925 წწ. გამომცემლობა „ახალმა სოფელმა“ დაბეჭდა ახალგაზრდა მკვლევრის სტატია და ბროშურა, სადაც აღწერილია სარეველების სახეობრივი შედგენილობა, ბიოლოგიური ნიშან-თვისებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები. 1925 წელს გამოვიდა მისი განზოგადებული ნარკვევი აღნიშნულ საკითხებზე, ხოლო 1927 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „მასალები კავკასიის ქედის ზონალური კულტურული მცენარეების შესწავლისათვის“ ნ. კეცხოველმა დაადგინა დიდ კავკასიონზე კულტურული მცენარეების გავრცელების საერთო კანონზომიერებები.

1923 წელს ნ. კეცხოველმა დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. ის დაინიშნა თბილისის უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის ჯერ პრეპარატორის, ხოლო 1927 წლიდან ასისტენტის თანამდებობაზე.

ნ. კეცხოველმა, რომელიც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ბოტანიკურ ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა რაიონში, განსაკუთრებით მდიდარი მასალა შეაგროვა ტყისა და სტეპის ურთიერთობისა და მთის სტეპების წარმოშობის შესახებ. ამ გამოკვლევათა შედეგები გამოქვეყნდა კაპიტალურ ნაშრომში – „საქართველოს მცენარეული საფარის ძირითადი ტიპები“ (1935 წ.). წიგნს თან ერთვის მცენარეულობის რუკები.

ნ. კეცხოველი 200-ზე მეტი შრომის, სტატიისა და ნარკვევის ავტორია.

1933 წელს ნ. კეცხოველი აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის გამგედ.

1937 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

1934-1937 წწ. იგი იყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. ამ ხანებში საქართველოს ბოტანიკოსებმა ნ. კეცხოველის ინიციატივითა და რედაქტორობით დაიწყეს კოლექტიური ნაშრომის „საქართველოს ფლორის“ შედგენა, რომლის გამოცემა (8 ტომი) 1952 წელს დამთავრდა.

1934 წ. ნ. კეცხოველმა ბოტანიკის ინსტიტუტთან დააარსა და სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა გეობოტანიკის განყოფილებას.

საინტერესოა მისი გამოკვლევათა ციკლი საქართველოს სხვადასხვა ზონებსა და რაიონებში მცენარეული საფარის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. ამავე ციკლს ეკუთვნის ნ. კეცხოველის ნაშრომები ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების ისტორიის შესახებ საქართველოში (1941 წ.).

ნ. კეცხოველს თვალთახედვიდან არ გამორჩენია აგრეთვე თავისებური შემადგენლობისა და გავრცელების აღმოსავლეთ საქართველოს სტეპისა და ნახევრადუდაბნოს ზონის საკმლის ხისა და ღვიის ტყეები. ჯერ კიდევ ელდარის ფიჭვის ნაკრძალის შესახებ გამოქვეყნებულ ნარკვევში (1938 წ.) მან ხაზი გაუსვა ამ მცენარის უძველეს, რელიქტურ ხასიათს.

მან 1957 წელს გამოაქვეყნა კაპიტალური ნაშრომი „კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში“. წიგნს თან ერთვის საქართველოს აგრობოტანიკური რუკა (1:600 000), რაც არსებითად წარმოადგენს ორიგინალურ ინდიკატურ გეობოტანიკურ რუკას, რომელიც წარმატებით იყო დემონსტრირებული გეობოტანიკური კარტოგრაფირების საერთაშორისო სიმპოზიუმზე საფრანგეთში 1961 წელს.

წიგნი „საქართველოს მცენარეული საფარი“, რომლის მეორე, შევსებული და გადამუშავებული გამოცემა 1960 წელს გამოვიდა, წარმოადგენს სახელმძღვანელოს უმაღლესი სკოლის სტუდენტებისათვის, აგრეთვე სასოფლო და სატყეო მეურნეობის დარგის სპეციალისტებისათვის.

ნ. კეცხოველი სასწავლო სახელმძღვანელოების შედგენას ყოველთვის თვლიდა მნიშვნელოვან ამოცანად. სხვადასხვა დროს მან გამოაქვეყნა ბოტანიკის სახელმძღვანელოები საშუალო და უმაღლესი სკოლებისათვის. მან დაწერა და რედაქცია გაუკეთა საშუალო სკოლისათვის განკუთვნილ ბუნებისმცოდნეობის სახელმძღვანელოების სხვადასხვა გამოცემათა შესაბამის თავებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ფოტოალბომი „მცენარეული საფარი – ხალხის საგანძური“ (განმარტებითი ტექსტებით), რომელიც 1961 წელს დაიბეჭდა.

1976 წელს გამოიცა ნ. კეცხოველის მიერ შედგენილი საქართველოს აგრობოტანიკური რუკა, 1973 წელს მან გამოაქვეყნა გამოკვლევა „საქართველოს კოწახური“, რომელშიც ნაჩვენებია ამ გვარის სახეობრივი სტრუქტურა.

უნდა აღინიშნოს ნ. კეცხოველის დიდი და ნაყოფიერი სამეცნიერო-ორგანიზაციული მოღვაწეობა. თბილისის უნივერსიტეტში მას ეკავა ბიოლოგიური ფაკულტეტის დეკანის მოადგილის (1933 წ.), ხოლო შემდეგ დეკანის თანამდებობა. 1937 წლის ბოლოს ის დაინიშნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სასწავლო ნაწილში.

1941 წელს იგი აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, იყო აკადემიის პრეზიდიუმის წევრი. 1942 წელს აკადემიაში მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება, 1943 წელს აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად.

1945 წელს ნ. კეცხოველი დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად. ამ თანამდებობაზე მან იმუშავა 1953 წლამდე. 1957 წელს იგი აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსმდივნად, 1963 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი.

1945 წელს ნ. კეცხოველს მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, 1958 წელს აირჩიეს საქართველოს ბოტანიკური საზოგადოების თავმჯდომარედ. იყო საკავშირო ბოტანიკური საზოგადოების პრეზიდიუმისა და მრავალი სხვა სამეცნიერო საზოგადოების წევრი, 1975 წელს ნ. კეცხოველს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია, ხოლო უფრო ადრე მისი პუბლიცისტური მოღვაწეობა აღინიშნა იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლით.

ნ. კეცხოველი დიდ ყურადღებას უთმობდა გარემოს დაცვის პროპაგანდას. ამ მხრივ საინტერესოა მისი წიგნი „მორბის არაგვი არაგვიანი“ (1971 წ.), „მკერდში დაჭრილი ბუნება“, (1973 წ.), „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია“ (1974 წ.), „მეცხრე მთაც გადავიარეთ“ (1976 წ.), სადაც ხატოვნადაა აღწერილია საქართველოს ბუნებრივი ლანდშაფტი, მოცემულია ყოველი მხარის ისტორიული წარსული და დახასიათებულია ადგილობრივი მოსახლეობის მრავალსაუკუნოვანი სამეურნეო საქმიანობა.

გამოჩენილი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, ჭეშმარიტი პატრიოტისა და მოქალაქის ხსოვნა მუდამ დარჩება ქართველი ხალხის, მისი შთამომავლობისა და მრავალრიცხოვანი მოწაფეების მეხსიერებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

მიხეილ ჩხენკელი:

ძალადობისა და ბულინგის დასამარცხებლად მოზარდებთან უწყვეტი დიალოგია აუცილებელი

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრობის კანდიდატმა მიხეილ ჩხენკელმა განაცხადა, რომ მინისტრად დანიშვნისთანავე ბულინგთან და ძალადობასთან ბრძოლა ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოაცხადა. როგორც ჩხენკელმა აღნიშნა, უფრო გაძლიერდება სისტემაში ფსიქოლოგიური სერვისი.

„განათლების მინისტრად დანიშვნისთანავე, ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად გამოვაცხადე სკოლებში ბულინგთან და ყველანაირ ძალადობასთან შეურიგებელი ბრძოლა. დავიწყეთ ბულინგისა და ძალადობის წინააღმდეგ ფარტომასშტაბიანი კამპანია, დარგის სპეციალისტების და კვალიფიციური ფსიქოლოგების მონაწილეობით. ჩვენი ფსიქოლოგები აქტიურად მუშაობენ სკოლებში. სისტემაში ფსიქოლოგიური სერვისები კიდევ უფრო გაძლიერდება. სკოლების ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი იქნება გამოცდილი და გულისხმიერი სპეციალისტების დახმარება. ჩვენი მიზანია, არამხოლოდ ძალადობის გამოვლენაზე რეაგირება, არამედ, პირველ რიგში, მისი პრევენცია. იმისთვის, რომ აღვკვეთოთ ძალადობა და ბულინგი, მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს უნდა ჰქონდეთ სათანადო ცოდნა. დაგეგმილი საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მათ მიეწოდებათ ამომწურავი განმარტებები და რეკომენდაციები. ძალადობისა და აგრესიის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში სახელმწიფო და ოჯახი გვერდიგვერდ უნდა იდგნენ. მოზარდებისთვის სკოლაში თუ სკოლის მიღმა კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაზე, ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ. პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია უწყვეტი დიალოგი მოზარდებთან. უკვე დავიწყეთ მოსწავლეებთან შეხვედრების ციკლი, მოვუსმინოთ მოსწავლეებს. გვჯერა, რომ მათი მონაწილეობა არსებითია პრობლემების უფრო ცხადად დასანახად და ძალადობისა და ბულინგის დასამარცხებლად“, – განაცხადა ჩხენკელმა.

2018 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზრდება წამყვანი და მენტორი მასწავლებლების დანამატები.

„განათლების პროცესში უმთავრეს როლს პედაგოგი ასრულებს. მასწავლებლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად ყველა პირობას შევქმნით, რომელიც ორიენტირებული იქნება არამხოლოდ თეორიაზე, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე. პროფესიული განათლების მოტივაციის ამაღლების მიზნით, 2018 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზრდება წამყვანი და მენტორი მასწავლებლების დანამატები. ამასთან, მინიმუმამდე დავიყვანთ ბიუროკრატიულ პროცედურებს, რათა მასწავლებლებმა დრო მთლიანად პროფესიულ განვითარებას დაუთმონ“.

ზურაბ აბაშიძე: რუსეთთან დამაკავშირებელი ალტერნატიული გზების საკითხი შვეიცარიული მხარის მონაწილეობით ახლო მომავალში გაირკვევა

სომხეთის პრეზიდენტს სერჟ სარგსიანს განზრახული აქვს, მიმდინარე წლის ბოლომდე ორდღიანი სამუშაო ვიზიტით ეწვიოს საქართველოს. ჯერჯერობით ვიზიტის პროგრამა გამოქვეყნებული არ არის, თუმცა, რასაკვირველია, იგი თბილისში ყოფნისას შეხვდება თავის ქართველ კოლეგას გიორგი მარგველაშვილს და პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს. სავარაუდოდ, სერჟ სარგსიანი მოლაპარაკების დროს დასვამს საკითხს „სტაბილური და მდგრადი სახმელეთო გზის“ თაობაზე სომხეთსა და რუსეთს შორის საქართველოს ტერიტორიის გავლით.

დღეს სომხეთ-რუსეთს შორის კავშირი ორი მიმართულებით ხორციელდება: ფოთი-ნოვოროსიისკის საზღვაო გზით (ბორნით, რაც საკმაოდ რთული და ძვირადღირებულია) და სახმელეთო გზით — საავტომობილო ტრასით (ერევანი-თბილისი-ვლადიკავკაზი), რაც ასევე რთულია და სახიფათო, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში.

სომხეთი დიდი ხანია ეძებს რუსეთთან დამაკავშირებელ ალტერნატიულ გზებს, რომლებიც სტაბილური იქნებოდა. არსებობს სამი სავარაუდო მიმართულება: პირველი — რკინიგზის აღდგენა აფხაზეთის გავლით, მეორე — კახეთ-ავარეთის ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა და მესამე — საავტომობილო გზა გორი-ცხინვალი-ვლადიკავკაზი. ეს უკანასკნელი ყველაზე კომფორტული მარშრუტია, მაგრამ პოლიტიკური მიზეზების გამო მისი ამოქმედება ვერ ხერხდება. მთავარი მიზეზი შემდეგშია: საქართველოს ხელისუფლება წინააღმდეგია, რომ პროექტში ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დღევანდელი ხელისუფლება იყოს ჩართული. ბოლო დროს პრობლემის გადაწყვეტაში ერთგვარი „სინათლე გამოჩნდა“ - სატრანსპორტო დერეფნების ამოქმედება შვეიცარიის კომპანიის შუამავლობით განხორციელდება, რომელიც ტვირთების საბაჟო გაფორმებას მოახდენს (საქართველო-რუსეთს შორის 2011 წელს დადებული შეთანხმების შესაბამისად).

როგორც ჩანს, სერჟ სარგსიანის ვიზიტიც უმთავრესად ამ პრობლემას უკავშირდება. როგორც რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეცწარმომადგენელმა **ზურაბ აბაშიძემ** განაცხადა, ამას წინათ პრაღაში გრიგორი კარასინთან შეხვედრის შედეგად სავაჭრო-სატრანსპორტო დერეფნების ამოქმედება, როგორც არასდროს, ისე ახლოა განხორციელებასთან. რამდენადაც ზურაბ აბაშიძე გამოცდილი დიპლომატია, ამ თემაზე ფრთხილად საუბრობს, თუმცა, მისი დიპლომატიური ფრაზეოლოგიის მიღმა, „სტროფებს შორის“ შეიძლება სერჟ სარგსიანის ვიზიტის მთავარი მიზანი ამოვიკითხოთ.

— ბატონო ზურაბ, იმსჯელეთ თუ არა გრიგორი კარასინთან საქართველოს სამხედრო გზაზე ახალი გვირაბის მშენებლობის შესახებ?

— ამ გზის ინფრასტრუქტურული რემონტი და მოდერნიზაცია დიდი ხანია, ორივე მხრიდან მიმდინარეობს — რუსეთისა და საქართველოს მიერ, რაც მომავალ წელსაც გაგრძელდება.

— გქონდათ თუ არა საუბარი სტაბილური სახმელეთო გზის თაობაზე რუსეთსა და სომხეთს შორის?

— ვაჭრობის ზრდის შესაბამისად აუცილებელი ხდება საქართველოს სამხედრო გზის გამტარუნარიანობის გაზრდაც. ჩვენი სახელმწიფო ამაში დაინტერესებულია. ამ გზაზე გადის ქართული, სომხური, თურქული, აზერბაიჯანული და ირანული ტვირთები. ეს გზა ყველასთვისაა. ასე რომ, ჩვენ აუცილებლად გავაგრძელებთ მის რემონტს და მოდერნიზებას.

— თქვენი აზრით, საკითხი ეხება სომხეთის ინტერესების ლობირებას, რომელიც ყველაზე მეტადაა დაინტერესებული კომუნიკაციის განვითარებით?

— ამ გზით ყველა სარგებლობს და, რასაკვირველია, პირველ რიგში ჩვენი უშუალო მეზობლები, მათ შორის სომხეთიც, რომლის ტვირთების 50% რუსეთში ზემო ლარსით გადის. სხვათა შორის, ბოლო დროს სწრაფად მატულობს თურქული ტვირთების ტრანზიტიც. რაც შეეხება ახალი გვირაბის მშენებლობას, ჩვენ ამ საკითხს მოსკოვთან არ ვათანხმებთ. ასეთი კონკრეტული საკითხები საქართველოს საშინაო საქმეა და მათზე გადაწყვეტილებას მთავრობა იღებს. ჩვენ გამოვდივართ საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, ინტერესებიდან, ამიტომაც ხელს ვუწყობთ ყველა შესაძლებელ მიმართულებას.

— როდის გადაწყდება ალტერნატიული გზების საკითხი შვეიცარიული კომპანიის მონაწილეობით?

— ეს უახლოეს ხანში გამოჩნდება.

— შეიძლება, დეკემბრის ბოლომდე?

— ვნახოთ, ვნახოთ... ამას უახლოეს ხანში გავიგებთ. რაღაც წინსვლა უკვე არის, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად ვერაფერს გეტყვით. თუმცა დღეს შაბათია (ინტერვიუ ჩაწერილია შაბათს — ს.კ.), მე კი სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით ოპტიმისტი ვარ ხოლმე (იცინის).

„ВЕСТНИК КАВКАЗА“ (რუსეთი)

ხატია დეკანოიძეც კი „მძიმე პროცესებით“ გვემუქრება

მიხეილ სააკაშვილის თქმით, უკრაინას არ სჭირდება ახალი „მაიდანი“, მისი მომხრეები მშვიდად იმოქმედებენ და არ აჰყვებიან უკრაინის ხელისუფლების პროვოკაციულ ქმედებებს, რამაც კიევში 17 დეკემბერს პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს იმპიჩმენტისა და გენერალური პროკურორის გადადგომის მოთხოვნებით ჩატარებული ხალხმრავალი აქციის დროს იჩინა თავი.

სააკაშვილი კიევსა და თბილისს შორის

მომავალში შეიძლება დიდი პოლიტიკოსი გახდე, შენ გათავისუფლებს დანაშაულის შემთხვევაში სასჯელისაგან, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვერ შევქმნით სამართლებრივ სახელმწიფოს... და თუ სააკაშვილი არის დამნაშავე, — და მე მიმაჩნია, რომ ის არის დამნაშავე, — მან უნდა აგოს პასუხი საქართველოს კანონმდებლობით ისევე, როგორც ეს ხდება ნებისმიერი სხვა მოქალაქის მიმართ, ვინც სჩადის დანაშაულს და დღეს იმყოფება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში“.

პოლიციასთან შეხლა-შემოხლის ფონზე, კვირას დემონსტრანტებმა სცადეს შეჭრილიყვნენ კულტურის სასახლის („ოქტომბრის სასახლის“) შენობაში მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა მათ უთხრა, რომ იქ აპირებდა თავისი შტაბბინის ამოქმედებას. დემონსტრანტები სამართალდამცველებმა შენობაში არ შეუშვეს, რა დროსაც არაერთი ადამიანი დაშავდა. ოდნავ მოგვიანებით, ამავე აქციაზე მიხეილ სააკაშვილმა სიტყვით მიმართა დემონსტრანტებს და მოუწოდა, შეენარჩუნებინათ სიმშვიდე და თავიდან აერიდებინათ „პროვოკაციები“. კულტურის სასახლის შენობის დაკავების მცდელობა ტვიტერის საშუალებით დაგმეს უკრაინაში კანადის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის საელჩოებმა. მათი პოზიციით, საჯარო შენობების ძალით დაკავებისა და განადგურების მცდელობა მშვიდობიანი პროტესტის უფლებით ბოროტად სარგებლობას წარმოადგენს.

იმის გამო, რომ 18 დეკემბერს მიხეილ სააკაშვილის დაკითხვა არ შედგა, უკრაინის გენერალური პროკურატურის განცხადებით, მას ახალ უწყებას გაუგზავნიან და დაკითხვაზე ხელმეორედ გამოიძახებენ, თუმცა „ახალ ძალთა მოძრაობის“ ლიდერმა გარკვევით თქვა, რომ არ აპირებს პროკურატურისთვის პასუხის გაცემას შეთითხნილ ბრალდებებთან დაკავშირებით. მის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნა უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით განსაზღვრულ დანაშაულებთან დაკავშირებით მიმდინარეობს. ძირითადი ბრალი უკრაინის ექსპრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის პრორუსული ძალების რევანშისტული გეგმების ხელშეწყობას უკავშირდება. გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, თუკი სააკაშვილი დაკითხვას მეორედაც ჩაშლის, მის წინააღმდეგ კანონით გათვალისწინებული ზომები ამოქმედდება.

მას შემდეგ, რაც უკრაინის გენერალურმა პროკურორმა იური ლუცენკომ 15 დეკემბერს „ყველაზე მეტად სავარაუდო“ უწოდა მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ექსტრადიციის პერსპექტივას, ეს ისედაც სადავო საკითხი კიდევ უფრო გააქტუალურდა საქართველოში. როგორც ცნობილია, ქართულმა მხარემ ძებნილად გამოცხადებული სააკაშვილის ექსტრადიციის მოთხოვნით რამდენჯერმე მიმართა კიევს. როგორც „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა დეპუტატმა გედევან ფოფხაძემ განაცხადა, ყველა დამნაშავემ შესაბამისი პასუხი უნდა აგოს:

„პრეზიდენტობა, ყოფილი პრეზიდენტობა ანდა ის, რომ

ნელმა **ხატია დეკანოიძემ,** სააკაშვილის ექსტრადიცია მხოლოდ და მხოლოდ უკანონო გზებით იქნება შესაძლებელი: **„თუ დაიწყება ექსტრადირების პროცესი, ეს პროცედურები არ იქნება სამართლებრივ ჩარჩოში მოქცეული, ეს იქნება პირდაპირი დარღვევა საერთაშორისო ნორმების და ასევე უკრაინის კანონმდებლობის... და ასევე უნდა ვუთხრათ საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც რამდენიმე თვის მანძილზე ეხვეწებოდა უკრაინის ხელისუფლებას არ ეხილათ მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ტერიტორიაზე, რომ ეს იქნება ძალიან მძიმე პროცესების დასაწყისი საქართველოში“.**

იურისტ **ლევან ალაფიშვილ**ის განმარტებით, მიხეილ სააკაშვილის ექსტრადიციის საკითხი დროის მოკლე მონაკვეთში ვერ გადაწყდება, რადგანაც, ყველა ინსტანციის გავლითა და ყველა პროცედურის დაცვით, საბოლოო სიტყვა სასამართლომ უნდა თქვას. იმისათვის, რომ საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნა იქნეს გათვალისწინებული, პროცედურები დასრულებული უნდა ჰქონდეს უკრაინულ მხარეს:

„სანამ უკრაინაში არ დასრულდება სასამართლო პროცედურები, განაჩენი სანამ არ დადგება ან საქმის წარმოება სანამ არ დასრულდება სხვა წესით (შეიძლება, შეწყდეს საქმე, სხვა თუ სხვა), მანამდე ეს საკითხი ვერ გადაწყდება, რადგანაც, თუკი უკრაინაში დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, ამ შემთხვევაში ეს განაჩენი უნდა აღსრულდეს. ამდენად, უკრაინაში მიმდინარე სამართალწარმოება სანამ არ დასრულდება, მანამდე ნაკლებად პერსპექტიულია მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირება“.

ლევან ალაფიშვილის განმარტებით, ექსტრადიციაზე ლაპარაკი ნაადრევია იმის გათვალისწინებითაც, რომ ჯერჯერობით საბოლოო განაჩენი არ არის გამოტანილი მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ საქართველოში აღძრული საქმეების ჭრილში. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, იურისტი მიხეილ სააკაშვილის ექსტრადიციის საკითხის დადებითად გადაწყვეტას, თუკი ეს საერთოდ მოხდება, მინიმუმ 6 თვის განმავლობაში არ მოელის.

ლელა კუნჭულია

◎ არც ახლა გჯერათ, რომ არამზადაა?!

მიხეილ სააკაშვილი პეტრო პოროშენკოს ღია წერილით მიმართავს

ნებაყოფლობითი გადადგომა თითქმის ბოლო შანსია, რათა პოლიტიკური კრიზისი გადალახული იყოს, რომელიც სხვაგვარად მხოლოდ გაღრმავდება. პრეზიდენტს, რომელიც ნებაყოფლობით გადადგა და ხალხის წინაშე თავი დახარა, შეუძლია სასჯელის შემსუბუქებისა და შეწყალების იმედი ჰქონდეს“, — წერს მიხეილ სააკაშვილი.

მიხეილ სააკაშვილმა „ფეისბუქის“ პირად გვერდზე უკრაინის პრეზიდენტისადმი ღია წერილი გამოაქვეყნა. მიხეილ სააკაშვილმა პეტრო პოროშენკოს მოუწოდა ნებაყოფლობით გადადგეს.

ანზორ სახვაძე:

ლომონოსოვიც კი ითხოვდა, ახალგაზრდა ბიჭები თავიანთზე უფროს ქალებზე აღარ დაქორწინებულიყვნენ“

შოთა რუსთაველის ნათქვამი „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადიაო“, როგორც ჩანს, დემოგრაფიის კვალობაზე, მთლად სიზუსტით არ სრულდება და მხოლოდ იურიდიულ დატვირთვას იძენს. დემოგრაფიულად თუ ვიმსჯელებთ, ქალი ბევრად უფრო სარგებლიანობის მომტანია, ვიდრე მამაკაცი. ამის შესახებ ცნობილი დემოგრაფი **ანზორ სახვაძე** გვეესაუბრა.

— ვაჟი და ქალი, მიუხედავად მათი იურიდიული თანასწორობისა, დემოგრაფიული თვალსაზისით, არ არიან თანაბარნი. მაგალითად, ავიღოთ ორი დასახლებული პუნქტი. ერთგანაც ასი ადამიანი იყოს და მეორეგანაც, მაგრამ განსხვავებული სქესობრივი შემადგენლობით. ვთქვათ, ფერტილურ ასაკში, ანუ ბავშვის ყოლის უნარის მქონე ასაკში ერთ დასახლებულ პუნქტში 90 ქალი და 10 ვაჟი იყოს, ხოლო მეორე დასახლებულ პუნქტში, პირიქით, 90 ვაჟი და 10 ქალი ცხოვრობდეს. ცხადია, მათი ჯამი ერთი და იგივეა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, თუ მათი ურთიერთობები არაფრით არ არის შეზღუდული, იქ, სადაც 90 ქალია, სულ ცოტა, 90 ბავშვი დაიბადება; ხოლო იქ, სადაც 90 ვაჟი და მხოლოდ ათი ქალია, სულ ტყუპ-ტყუპი ბავშვებიც რომ გაჩნდნენ, მხოლოდ და მხოლოდ 20 ბავშვი გაჩნდება.

ეს ნიშნავს, რომ დემოგრაფიულად ქალი უპირატესია გამრავლების თვალსაზრისით, ვიდრე მამაკაცი. ახლა, თუ მედიცინის მიღწევებსაც გავითვალისწინებთ, კაცის როლი გამრავლებაში კიდევ უფრო შემცირებულია, რადგან შესაძლოა, ხელოვნური განაყოფიერების გზით წავიდეს კაცობრიობის მომავალი განვითარება. მით უმეტეს, თუ ფემინისტები მოვიდნენ ხელისუფლებაში და მათ მიიღეს კანონები, იტყვიან, რაღა საჭიროა კაცები, ერთი-ორ მათგანს საჯიშედ შემოინახავენ და მორჩა. ეს — ხუმრობით.

— როგორც ჩანს, ქალის დაბადება მთლად ხელწამოსაკრავი არ ყოფილა და არც ის ყოფილა გამართლებული, ვაჟის დაბადებისას თოფს რომ ისროდნენ, ხოლო ქალის დაბადებას შეწუხებულნი ეგებებოდნენ.

— იმ პერიოდში გადამწყვეტი იყო ეკონომიკური მდგომარეობა, რადგან ბავშვს ძალიან დიდი ეკონომიკური დატვირთვა ჰქონდა. ბავშვი განიხილებოდა, როგორც შემოსავლის წყარო, რადგან მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოფლად ცხოვრობდა. სოფლად კი ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენი მთოხნელი, მიწის დამამუშავებელი გყავს. შესაბამისად, თუ ტრაქტორი არ გაქვს, მთოხნელის რაოდენობაზეა დამოკიდებული მოსავლის სიმრავლე. ასეთ დროს ბიჭი მუშახელად აღიქმებოდა... გოგოზე კი უნდა გეზრუნა, გაგეზარდა, გაგემზითვებინა, გაგეთხოვებინა. ამიტომ მაშინდელი თვალთახედვით, გოგო „ზარალიანი“ იყო. სხვათა შორის, ბიჭებს ადრეულ ასაკში აქორწინებდნენ იმისთვის, რომ კიდევ ერთი მუშახელი შესულიყო მათ ოჯახში.

თუ, წესით, ბიჭი 20-25 წლის ასაკში ქორწინდებოდა, იყო შემთხვევები, როცა 14-15 წლის ასაკში მოჰყავდათ მისთვის ცოლი და ეს ძალიან ცუდად აისახებოდა დემოგრაფიაზე, გამრავლებაზე. აქ მთავარი იყო ეკონომიკური ფაქტორი. მაგალითად, ლომონოსოვს აქვს აღწერილი რუსეთის სინამდვილისთვის დამახასიათებელი ეს ფაქტი. ამის შესახებ მან წერილიც მისწერა გრაფ შუვალოვს, დედოფლის ფავორიტს, რომელსაც მიესვლებოდა დედოფალთან და შეეძლო, ყურში ეჩურჩულა რაღაცები.

ლომონოსოვი წერდა, დავჯექი ახლა, ჩემი ქაღალდები გადავათვალიერე და ბევრი რამ ჩემს ჩანაწერებში საინტერესოდ მეჩვენა. შესაბამისად, გადავწყვიტე თქვენთვის მომეწოდებინა, იქნებ, დედოფლის ყურამდე მიიტანოთ, გაიუქმოს მავნე ჩვევა, რომ რუსეთის მოსახლეობა არ შემცირდესო. ლომონოსოვის თქმით, მოსახლეობის გამრავლება იყო მთავარი და არა ტერიტორიის სიდიდე. ამდენად, იმ ღონისძიებებს შორის, რომელიც ლომონოსოვს რუსების გამრავლებისთვის ხელშემწყობად მიაჩნდა, ერთ-ერთი გახლდათ რუსეთში არსებული იმ წესის გაუქმება, როდესაც ახალგაზრდა, ჯერ კიდევ მოუმწიფებელ ვაჟებს მოზრდილ ქალებზე აქორწინებდნენ.

ლომონოსოვს მიაჩნდა, რომ ამ წესს არ მოჰქონდა დადებითი შედეგი, რადგან ბიჭი ჯერ არ იყო მომწიფებული ოჯახისთვის, მასზე 5-10 წლით უფროსი ქალი კი, რომელიც ოჯახს სჭირდებოდა სამუშაო ძალად, სხვა სიყვარულს ეძებდა. თანაც, 10-14 წლის ბიჭს როცა 20 წლის გოგოზე აქორწინებდნენ, ეს ბიჭი რომ გაიზრდებოდა, ქალი უკვე გამოდიოდა ბავშვთა შობის ასაკიდან და ეს შობადობის მატებას არ უწყობდა ხელს. ქალი იძულებული იყო, სხვაგან მოეძებნა სიყვარული და იმის გამო, რომ სოფელი კიცხავდა ქორწინების გარეშე ბავშვის ჩასახვას, ასეთი ურთიერთობის შედეგად ჩასახულ ბავშვს ქალი ნაყოფის სახითვე კლავდა მუცელში, რასაც ზოგჯერ ამ ქალის სიცოცხლეც ეწირებოდა, ბავშვი კი თავისთავად იღუპებოდა. ამიტომ ლომონოსოვი ითხოვდა, ახალგაზრდა ბიჭები თავიანთზე უფროს ქალებზე აღარ დაქორწინებულიყვნენ.

— ასეთი ტრადიცია საქართველოშიც იყო?

— მსგავსი ცნობები საქართველოშიც შემორჩა, რომ ვაჟებს ასაკით უფროს ქალებზე აქორწინებდნენ. საქართველოშიც ამას ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა, რადგან ცოლის მოყვანით ოჯახს ემატებოდა მუშახელი.

— ინდოეთში, სადაც ვაჟის დაბადება დღემდე უპირატესობით სარგებლობს, უკვე მიხვდნენ, რომ ძალადობის მატება ამითაც არის განპირობებული. ფერტილურ ასაკში ქალთა ნაკლებობა ინდოელებში აგრესიას იწვევს.

— არა მარტო ინდოეთში, იგივე პრობლემა უფრო მწვავედ ჩინეთშიცაა. ჩინეთში საპატარძლოების დეფიციტი შეიმჩნევა. სქესთა არათანაბარ განაწილებას რეგიონალური ასპექტიც აქვს, რადგან არის რეგიონები, სადაც ბიჭები ჭარბობენ და არის რეგიონები, სადაც ქალები უფრო მეტნი არიან. როგორც წესი, სოფლად უფრო მეტი კაცია, ვიდრე ქალი. ამან გამოიწვია ის, რომ ჩინეთში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში ერთი შვილის გაჩენის ნება იყო მიცემული, უპირატესობას ანიჭებდნენ სწორედ ვაჟებს. იქ ვაჟები უნდოდათ მემკვიდრეებად, გვარის გამგრძელებლებად და იშვიათად აჩენდნენ გოგოებს. ამან გამოიწვია დისპროპორცია ვაჟებისა და ქალების რაოდენობას შორის. 20-25 წელი რომ გავიდა, უკვე აშკარად შეიმჩნეოდა სასიძოების დიდი რაოდენობა და საპატარძლოების დეფიციტი. რეგიონალურ ასპექტშიც აღმოჩნდა, რომ სოფლად საპატარძლოები გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ქალაქად. ამიტომ სოფლად მცხოვრები ბევრი კაცი, რომელიც ვერ პოულობდა შესაბამის პარტნიორს საცოლედ, ჩავიდა ქალაქში.

აღწერილი იყო ასეთი შემთხვევა, როცა სოფლიდან ქალაქად ჩასულმა მამაკაცებმა დაიწყეს საცოლეების ძებნა. საცოლეები ვერ იპოვეს და ერთ ექიმ კაცს დაუკავშირდნენ. ის კაცი ფსიქიატრი იყო და შეჰპირდა, ქალებს მე გიშოვითო. ამათაც გადაუხადეს თანხა და ექიმმა ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტებს ცოტა უფრო მეტი დოზა დამამშვიდებელი წამალი გაუკეთა, აჩვენა ამ ბიჭებს, მათაც მოეწონათ და მიჰყიდა თავისი ავადმყოფები სოფლელ სასიძოებს. გავიდა ხანი, ზოგ პაციენტს მოუხდა გათხოვება, ნერვები დაუწყნარდა, რეციდივი აღარ ჰქონია, ზოგს კი, პირიქით, წამალმა რომ გაუარა, დაიწყეს თავისი ფსიქიკური აგრესიის გამოვლენა. სოფლელები ექიმთან ჩავიდნენ და ასე გასკდა ეს საქმე. ფსიქიატრი პასუხისგებაში მისცეს. სწორედ ასეთი დემოგრაფიული შედეგი გამოიწვია სქესთა დისპროპორციის არასასურველმა ტენდენციამ.

— სხვათა შორის, ავსტალიაშიაც უჩიოდნენ ქალების ნაკლებობას და სხვა ქვეყნებიდან მანდილოსნების ჩასვლას ითხოვდნენ.

— დიახ, ავსტრალიაშიც იყო ასეთი შემთხვევები. ჩემს სტუდენტებს ვეუბნები, გირჩევნიათ, წახვიდეთ სოფლად, რადგან გათხოვების უფრო მეტი შანსი გაქვთ, ვიდრე ქალაქად, ვინაიდან საცოლე ბიჭები სოფლად უფრო მეტია. საქართველოში სოფლად 50 წლამდე კაცები უფრო ჭარბობენ. ესეც მიგრაციის თავისებურებაა, რადგან ქალებს სწავლისადმი მიდრეკილება უფრო მეტი აქვთ. ამიტომ სოფლის სკოლადამთავრებული ქალები უფრო მეტად მიდიან მიგრაციაში, ვიდრე ვაჟები. ადრე კი პირიქით იყო, ბევრი რამ შეიცვალა.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

დავით სერგეენკო:

პაციენტს არ სურს, მივიდეს ექიმთან, რადგან მას მედიკამენტის შეძენის საშუალება არა აქვს!

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განცხადებით, პირველადი ჯანდაცვის რეფორმა რამდენიმე ეტაპს ითვალისწინებს. მინისტრის თქმით, პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია.

„მედიკამენტებზე მიწვდომადობის გაზრდა პირველადი ჯანდაცვის სექტორის გაძლიერების ხელშემწყობია, რამდენადაც პაციენტს არა აქვს სურვილი, მივიდეს ექიმთან, რადგან მას შემდგომი ნაბიჯის — მედიკამენტის შეძენის საშუალება არა აქვს. შესაბამისად, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების კომპონენტი, სწორედ პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილია.

ეს კომპონენტი 6 თვის წინათ ამოქმედდა და მალე მოგვეცემა საშუალება, გავაკეთოთ შუალედური შეფასება“, — განაცხადა დავით სერგეენკომ.

* * *

„დღეს სოციალურად დაუცველთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ოჯახის შემოსავალსა და ხარჯს. სრულიად გამოირიცხა სოციალური აგენტის სუბიექტური შეფასება, ტექნიკისა და საყოფაცხოვრებო ნივთების ფლობა, რაც წარსულში დახმარების მოხსნის მიზეზი ხდებოდა“, — განაცხადა დავით სერგეენკომ.

როგორც მინისტრმა განმარტა, სისტემა ითვალისწინებს ოჯახში ბავშვის და შშმ პირის არსებობას.

„შესაბამისად დღეს, სოციალურად დაუცველთა შეფასების მეთოდოლოგია გაცილებით ობიექტური და სოციალურ საჭიროებებზე მორგებულია. ამ ცვლილებამ გახადა შესაძლებელი ბავშვიანი ოჯახების ზოგადი საჭიროებების უფრო მეტად გამოკვეთა. შედეგად დღეს 43.3%-ით მეტი ბავშვი იღებს დახმარებას, ვიდრე 2 წლის წინათ, თუმცა, ვიდრე თუნდაც 1 ბავშვი ცხოვრობს სიღარიბეში, ნაადრევი და უხერხულია ბავშვთა სიღარიბის დაძლევაზე საუბარი. აქვე გეტყვით, ისევ გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევაზე დაყრდნობით: ბავშვთა სიღარიბე ბოლო ათწლეულის განმავლობაში 48%-დან 18%-მდე შემცირდა“, — განმარტა მინისტრმა.

ეველინ ფარკა: „ჯაველინები“ სიგნალია, რომ რუსეთს საქართველოში შეჭრა ძვირი დაუჯდება

ამერიკის *თავდაცვის მდივნის ყოფილი ასისტენტი* ***ეველინ ფარკასი*** *აცხადებს, რომ ამერიკასა და საქართველოს შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება დიდი წინსვლაა. ის ასევე დასძენს, რომ ჯავშანსაწინააღმდეგო სისტემა „ჯაველინები,“ რომელსაც ამერიკა თბილისს მიჰყიდის, რუსეთს სიგნალს გაუგზავნის, რომ ნებისმიერი ახალი სამხედრო თავდასხმა საქართველოზე მოსკოვს ძვირი დაუჯდება.*

„ამერიკის ხმის“ *ჟურნალისტი ფარკასს საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზეც ესაუბრა.*

— ეველინ, დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. სახელმწიფო დეპარტამენტმა ცოტა ხნის წინათ საქართველოსთვის თავდაცვითი იარაღის მიყიდვის გადაწყვეტილება მიიღო. რას ფიქრობთ საქართველოსთვის „ჯაველინების“ მიყიდვაზე?

— ვფიქრობ, ეს არა მარტო დროული, არამედ ცოტა დაგვიანებული გადაწყვეტილებაც კია. 2012-დან 2015 წლამდე თავდაცვის სამ სხვადასხვა მდივანს მე პირადად ვურჩევდი „ჯაველინების“ მიყიდვის გადაწყვეტილების მიღებას. ობამას ადმინისტრაციას ამ გადაწყვეტილების მიღება არ სურდა, რამაც საკითხი ღიად დატოვა ტრამპის ადმინისტრაციისთვის. ძალიან მიხარია, რომ საბოლოო ჯამში, საკითხი საქართველოს სასარგებლოდ გადაწყდა. ახლა მთავარი ისაა, თუ როგორ გადაიხდის იარაღის საფასურს საქართველო. ჯერ არ ვიცით, გამოყოფს თუ არა ამერიკის მთავრობა საქართველოსთვის იმდენ დახმარებას, რომ „ჯაველინების“ სრული ფასი დაიფაროს. თუმცა, საქართველოს, სავარაუდოდ ექნება სისტემის ეტაპობრივი შესყიდვის საშუალება. მთავრობას მოვუწოდებ, იმოქმედოს სწრაფად და გააკეთოს ყველაფერი ამ იარაღის მისაღებად.

ეს თავდაცვითი იარაღია, რომელიც რუსეთს სიგნალს გაუგზავნის, რომ ნებისმიერი ახალი თავდასხმა საქართველოზე მოსკოვს ძვირი დაუჯდება — დაიღუპებიან რუსი ჯარისკაცები და განადგურდება რუსული ტანკები.

— საქართველოსთვის თავდაცვითი იარაღის მიყიდვასთან დაკავშირებით სკეპტიკოსები ამბობენ, რომ ეს ნაბიჯი რუსეთს მხოლოდ გააღიზიანებს. როგორ აფასებთ ამ მოსაზრებას?

— რუსები ყოველთვის იქნებიან გაღიზიანებული საქართველოს მთავრობის ამა თუ იმ ნაბიჯით. ადამიანებმა უბრალოდ უნდა შეიმუშავონ უნარი, ყურადღება არ მიაქციონ რუსეთის გაღიზიანებულ მდგომარეობას. სხვა რისი გაკეთება შეუძლიათ, გარდა იმისა, რომ ისაუბრონ იმაზე, რომ გაღიზიანებული არიან. ეს თავდაცვითი სისტემაა, რომლის ერთადერთი მიზანი რუსეთის მხრიდან დამატებითი სამხედრო მოქმედების შეკავებაა. ამ იარაღს რეგიონში სამხედრო ბალანსის შეცვლა უბრალოდ არ შეუძლია და ეს ყველამ იცის. გარდა ამისა, საქართველოს მხრიდან ამ მიზნის დასახვა სრულიად წარმოუდგენელია, „ჯაველინები“ აუცილებელი იარაღია იმისთვის, რომ საქართველოს თავის დაცვის შესაძლებლობა ჰქონდეს.

— თავდაცვითი იარაღის ყიდვა საქართველოსთვის უპირობოდ დადებითი შენაძენია. ამ ნაბიჯისგან დამოუკიდებლად, როგორ აფასებთ ადმინისტრაციის პოლიტიკას საქართველოს მიმართ?

— ვფიქრობ, მიმდინარე პოლიტიკა ობამას პოლიტიკის გაგრძელებაა, რომელიც თავის მხრივ, ჯორჯ ბუშ უმცროსის პოლიტიკის გაგრძელება იყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ამერიკის ყველა ადმინიტრაცია აღიქვამს, როგორც ახლო პარტნიორს, რომელთანაც მომავალშიც გვინდა თანამშრომლობის გაგრძელება. ასე გვსურს, დავინახოთ დემოკრატიულად უფრო ძლიერი საქართველო, რომელიც რეგიონში ეკონომიკური ძალა იქნება და რომელსაც საკუთარი საზღვრის დაცვა შეეძლება. მიუხედავად იმისა, თუ რას შეიძლება ფიქრობდეს ხალხი ტრამპის ადმინისტრაციის რუსეთთან კავშირზე, ვფიქრობ, საქართველოს მიმართ პოლიტიკა უცვლელი რჩება. დონალდ ტრამპის შემთხვევაში კი, „ჯაველინების“ მიყიდვის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ადმინისტრაცია საქართველოს დღეს უფრო მეტ ყურადღებას აქცევს.

— საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი და ოდესის ყოფილი გუბერნატორი, რომელიც დღეს მოქალაქეობის გარეშე დარჩენილი პირია, ცოტა ხნის წინათ საერთაშორისო მედიის ყურადღების ცენტრში იყო. რას ფიქრობთ მიხეილ სააკაშვილის საქმიანობაზე უკრაინაში?

— პირველ რიგში, ვფიქრობ, ეს შოუმენობა დიდი შოუს მოწყობის მცდელობაა. ასეთი საქციელი არაკომფორტულობის განცდას მიჩენს. ვფიქრობ, ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი, ყოფილი გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი ცდილობს უკრაინის გარდაქმნას და რეფორმების გატარების დაჩქარებას, როგორც თვითონ ამბობს. მაგრამ მე პირადად, მისი სტილი არ მომწონს და ეს ჩემი პირადი შეხედულებაა. მიუხედავად ამისა, იმ საკითხებზე, რომლებზეც ის საუბრობს, უკრაინის საზოგადოების ერთი ნაწილი ყურადღების ცენტრშია. სააკაშვილი უკრაინაში კორუფციის აღმოფხვრას ცდილობს და იმ ადამიანების ხმას წარმოადგენს, რომლებიც ამბობენ, რომ პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო რეფორმებს სწრაფი ტემპით არ ახორციელებს. მიხეილ სააკაშვილს შეუძლია უკრაინის მთავრობაზე ზეწოლის განხორციელება. თუმცა, გზა, რომელიც მან აირჩია, ვფიქრობ საშიშია. უკრაინის მთავრობა და მთლიანად ქვეყანა ძალიან სუსტია. მიხეილ სააკშვილი საკუთარი მიზნის მისაღწევად ბრბოს იყენებს, რაც არც დემოკრატიული მეთოდია და არც პროცედურული მიდგომა.

— თუ სწორად გავიგე, თქვენ ამბობთ, რომ სააკაშვილი უკრაინის სტაბილურობას საფრთხეს უქმნის...

— თუ ფრთხილად არ მოიქცა, ის უკრაინის სტაბილურობას საფრთხეში ჩააგდებს და ამით ვერც უკრაინა მოიგებს და ვერც საქართველო. ერთადერთი ადამიანი, რომელიც ამ ვითარებით ისარგებლებს, ვლადიმირ პუტინია.

— თქვენი აზრით სააკშვილი საქართველოს სტაბილურობასაც საფრთხეს უქმნის?

— ასეთ კავშირს ვერ ვხედავ. დარწმუნებული ვარ, საქართველოში ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ამ თეატრალურ წარმოდგენებს. მაგრამ ამასთან ერთად, საქართველოს შიგნით არანაკლები თეატრალურობაა ბევრი გამოწვევით, მათ შორისაა, პარტიებს შორის დაპირისპირება, მედიის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარება, განმჭვირვალობა და სხვა. საქართველოს საკუთარი საზრუნავი საკმარისად აქვს, დამატებით რომ არ დაიმატოს. თუმცა ერთი რაც საქართველომ, ვფიქრობ, უნდა გააკეთოს, უკრაინის მიმართ მტკიცე მხარდაჭერის გამოჩენაა. ორივე ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება ერთიანობა.

„Radio Voice of America“ **(აშშ)**

◎ **თავდაცვის მიზნით**

„ჯაველინების“ შესაძენად 2018-2019 წლებში, დაახლოებით 160 მლნ ლარი გადაირიცხება

„ჯაველინების“ შეძენა ორ ეტაპად განხორციელდება — ამის შესახებ თავდაცვის მინისტრობის კანდიდატმა ლევან იზორიამ განაცხადა.

„პირველი ეტაპის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაახლოებით 100 მლნ ლარი გადაირიცხება, ხოლო მეორე ეტაპისთვის — დაახლოებით 60 მილიონი. ეს არის ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცებისკენ, სუვერენიტეტის უფრო ეფექტურად დაცვისკენ გადადგმული ნაბიჯი, რომელიც არ უკავშირდება სხვა ქვეყნის წინააღმდეგ ინტერესებს. ეს იარაღი თავდაცვით ხასიათს ატარებს და არ არის შეტევითი ხასიათის იარაღი“, — განაცხადა ლევან იზორიამ.

განცხადება

2018 წლის 12 თებერვალს,14 საათზე,ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში (მისამართი: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №189) და 2018 წლის 13 თებერვალს, 12 საათზე. ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში (მისამართი: ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქ. №12) გაიმართება ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობა ითვალისწინებს ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ყულევთან ევროსტანდარტების შესაბამისი ტექნოლოგიებით აღჭურვილი საშუალო სიმძლავრის ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს აშენებას და ექსპლუატაციას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში - ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №189;

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში - ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქ. №12;

შპს „ეკოსპექტრი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. №4;

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

გია შავდია. ტელ: 577-76-70-78; E-mail: giashavdia@phasisoil.com;

ირაკლი კავილაძე. ტელ: 599-97-97-48; E-mail: ikaviladze@yahoo.com ;

გზშ-ს ანგარიშთან დაკავშირებული შენიშვნებისა და კომენტარების წარმოდგენა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

შპს „ფაზის ოილი“-ს ადმინისტრაცია

განცხადება

2018 წლის 9 თებერვალს, 14 საათზე, ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: დაბა ასპინძა, თამარის ქ. 3). გაიმართება საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-11) ახალციხე-ნინოწმინდის საავტომობილო გზის კმ 20 - კმ 22 მონაკვეთის გადატანის სამუშაოების და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობა ითვალისწინებს საერთაშორისო მნიშვნელობის ს-11 ახალციხე-ნინოწმინდის (სომხეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის გადატანის პროექტს.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში - დაბა ასპინძა, თამარის ქ. №3;

შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი 17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

ნია ნადარეიშვილი. ტელ: 595 997 020; E-mail: nnadareishvili@hpp.ge;

ნიკოლოზ სოფაძე. ტელ: 597 72 88 71; E-mail: nikasofadze@hotmail.com;

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

შპს „მტკვარი ჰესი“-ს ადმინისტრაცია

განცხადება

2018 წლის 14 თებერვალს 15:00 საათზე, დაბა სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: ალ. ყაზბეგის №1-ში გაიმართება საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის საზღვარი) საავტომობილო გზის 106-ე კმ-ში მდინარე ბიდარაზე მდებარე სახიდე გადასასვლელის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე: www.georoad.ge
- სტეფანწმინდის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში ბეჭდური ვერსია.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქალბატონ ლუიზა ბუბაშვილს ტელ: 595 219141 ელ.ფოსტა: likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

◎ ისტორიის სვეტი

საღ, რა, როდის, ვინ?

თარიღი, მოვლენა, შეფასება

1729 წლის 26 დეკემბერს რუსეთის იმპერატორის პეტრე II-ის ბრძანებით, რომლის მიზანიც რუსეთში ემიგრირებული ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ოჯახისა და ამალის მოსკოვში განსახლება იყო, ამ ქალაქში საფუძველი ჩაეყარა „გრუზინსკაია სლობოდას“, ქართველებით დასახლებულ „გრუზინოს“ უბანს (ახლანდელი კრასნაია პრესნია). 1730 წლიდან იქ დაიწყო ქართველებისთვის საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფა, სასახლეების მშენებლობა, 1750 წელს გიორგი ბატონიშვილმა (ვახტანგ VI-ის ძემ) იქ წმ. გიორგის სახელობის ქართული სალოცავი ააგო.

1759 წლის დეკემბერში იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა საეკლესიო და საერო ფეოდალების საგანგებო კრება მოიწვია. ერთი თვის განმავლობაში მსჯელობა დასავლეთ საქართველოს საერთო საკითხებზე მიმდინარეობდა. დადგინდა: ტყვეებით მოვაჭრეთა სიკვდილით დასჯა, უკანონოდ მიტაცებულ ყმა-მამულების სახელმწიფოსთვის დაბრუნება და სხვ.

1840 წლის დეკემბერში მთიანი აფხაზეთის ოლქებში — დალსა და წებელდაში დაიწყო ანტიკოლონიური აჯანყება, რომელსაც სათავეში დალელი თავადი შაბათ მარღანია ედგა. აჯანყებულები თავს ესხმოდნენ რუსთა მთავრობის ერთგულ ფეოდალებს და სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. ხელისუფლებამ მათ წინააღმდეგ გაგზავნა ძლიერი რაზმი: ჯარის 6 ასეული, 6 ქვემეხი, 1300 მილიციელი. აჯანყება 1842 წლამდე გაგრძელდა, ბოლოს მოღალატეთა და ადგილობრივ ფეოდალთა დახმარებით ჩაახშეს.

1989 წლის 13 დეკემბერს სსრკ-ის სუკ-ის ხელმძღვანელობის ინიციატივით შეიქმნა ვითომ ოპოზიციური „საბჭოთა კავშირის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია“ ვლადიმერ ჟირინოვსკის ხელმძღვანელობით.

1825 წლის 18 დეკემბერს 600 დიდოელი ლეკი მოულოდნელად თავს დაესხა სოფელ საბუეს. ღამით სოფელში შეიჭრნენ და ხანჯლებით დახოცეს რამდენიმე ასეული ქართველი. საბუის დარბევის და მოსახლეობის ამოჟლეტაში ბრალი მიუძღოდა თელავის მაზრის უფროსს მაიორ სტეპანოვს, რომელმაც ცუდი კლიმატური პირობების მომიზეზებით ქართული მილიცია (სახალხო ლაშქარი) საგუშაგოებიდან მოხსნა, რამაც ლეკებს საშუალება მისცა, შეუმჩნევლად მიახლოებოდნენ სოფელს.

1937 წლის 20 დეკემბერს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია-გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველო-შინსახკომის 20 წლისთავთან დაკავშირებით დიდ თეატრში შედგა საზეიმო სხდომა. მოხსენებით „სსრკ-ის ყოველი მოქალაქე შინსახკომის თანამშრომელია“, გამოვიდა სკპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი ანასტას მიქოიანი.

◎ სტალინის ფენომენი

გლობალიზმთან ბრძოლის სათავე...

ისტორიულ წიაღსვლებს მრავალი ისეთი გარემოების წარმოჩენა შეუძლია, რომელთა შესახებ თანამედროვე საზოგადოებაში ცოტა ვინმე თუ დაფიქრებულა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, იოსებ სტალინის ბოლო საჯარო გამოსვლა მას 1952 წლის შემოდგომაზე გამართულ პარტიის XIX ყრილობაზე ჰქონდა, რომელიც, არაერთი მკვლევარის აზრით, დღესდღეობითაც ჯეროვნად არ არის შეფასებული და ახლაც აქტუალურია.

თორმეტწუთიანი სიტყვით სტალინი 14 ოქტომბერს, ყრილობის დახურვის დღეს გამოვიდა და ის ომისა და მშვიდობის პრობლემებს დაუთმო. მასში ორი იდეაა გატარებული: პირველი ისაა, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფასეულობები — საჯარო გამოსვლების, ბეჭდვითი სიტყვის, მსვლელობების, თავყრილობების და ა.შ. თავისუფლებები სანაგვეზეა მოსროლილი და კომუნისტურმა პარტიებმა ისინი ხალხს უნდა დაუბრუნოს. მეორე იდეის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ თუკი უწინ ერის წინამძღოლი ბურჟუაზია იყო, ახლა იგი დოლარზე იყიდება. შემდეგ კი სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ **ის, რასაც ჩვენ დღესდღეობით გლობალიზაციას ვუწოდებთ (იმ დროს კი იმას მონდიალიზმად იხსენიებდნენ), დომინირებას იწყებს, წინა პლანზე გამოდის და მის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო**.

მართალია, ასე საქვეყნოდ გლობალიზაციის წინააღმდეგ სტალინმა პირველმა გაილაშქრა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დასავლურ „შეფუთვაში“ მისი საფრთხის შესახებ ჯერ კიდევ ლენინს ჰქონდა მითითებული თავის გახმაურებულ სტატიაში „ამერიკის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ“. **ეს იყო მოწინავე ევროპულ სახელმწიფოთა კოლონიალური ექსპანსიის ახალი ფორმა**. ამდენად, გამოდის, რომ ევროკავშირი — არსებითად, ესაა ევროპის შეერთებული შტატების ასი წლისწინანდელი ლოზუნგის რეალიზაცია, სადაც გერმანია ლიდერობს, **საფრანგეთი** აქტიურობს, **დიდი ბრიტანეთი** კი ინტრიგებს ხლართავს. **რუმინეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი,** ან ვთქვათ, **ბალტიისპირეთის ქვეყნები** — ესენი ნახევრადკოლონიური სახელმწიფოები, იაფიანი მუშახელისა და ნედლეულის წყაროები არიან.

ამდენად, გამოდის, რომ გლობალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია თეორიულად ლენინმა დაასაბუთა, სტალინმა კი ამ საფრთხესთან პრაქტიკული ბრძოლა დაიწყო. არადა, როცა კი სტალინის მმართველობის ბოლო პერიოდს მიმოიხილავენ, ყურადღებას „უჯიშო კოსმოპოლიტებთან“ ბრძოლაზე ამახვილებენ, ებრაელთა წინააღმდეგ მის „მიმართულებას“ უსვამენ ხაზს. **არადა, სინამდვილეში, ეს იყო ბრძოლა გლობალიზაციის იდეის მატარებლებთან, რომლებიც მსოფლიო მთავრობის შექმნის მომხრეები იყვნენ**. ამ იდეის მატარებლები იყვნენ უინსტონ ჩერჩილი, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ერნსტ ბევინი, გენიალური ალბერტ აინშტაინიც კი. არადა, მოწინავე მეცნიერებმა ეს იდეა უარყვეს, როგორც კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარებისთვის შეუფერებული. **სტალინი კი ამ იდეებში ახალი ომის საფრთხეს ხედავდა, თანაც იგი არც ანტისემიტი ყოფილა**. კოსმოპოლიტიზმთან ბრძოლის კამპანიის დასასრულისას მას გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორისთვის პეტრე პოსპელოვისთვის უთქვამს: „უშუალოდ კონკრეტულ პერსონაჟებს კი არა, არამედ მათ თავებში დაბუდებულ იდეებს უნდა ვებრძოლოთ. ჩვენ ბრძოლას იდეურ დონეზე ვაწარმოებთ, განა ებრაელებისა თუ ნახევრადებრაელების ძიებაში ვართ“.

საერთოდაც, იგი თვითდამშვიდების სასტიკი წინააღმდეგი იყო, მოლოტოვსა და მიქოიანს კი, როგორც იტყვიან, კუდით ქვა ასროლინა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო პლენუმზე, რომელიც ყრილობის დამთავრებისთანავე შედგა. თანაც, მათ ისე მაგრად „მოხვდათ“, რომ ცკ-ის პრეზიდიუმის ბიუროშიც არ შეიყვანეს.

კონსტანტინე სიმონოვის თქმით, მოლოტოვს უმოწყალოდ იმის გამო მოხვდა, რომ იგი სსრ კავშირის ყოფილ მოკავშირეებს აშკარად ზედმეტად ეკეკლუცებოდა. სტალინს მიაჩნდა, რომ მოლოტოვმა მედგარი ბოლშევიკისთვის დამახასიათებელი ალღო დაკარგა და დასავლეთს დათმობებს ჰპირდებოდა. მისი რისხვის მეორე საბაბი ის გახდა, რომ პოლიტბიუროს სხდომების ამბებს თავის ცოლს უყვებოდა, რომელიც, თავი მხრივ, მათ თავის „კაჭკაჭა“ დაქალებს ანდობდა, შემდეგ კი ჭორები მთელ მოსკოვში ვრცელდებოდა და საბჭოთა კავშირში ისრაელის მაშინდელი ელჩის გოლდა მეირის ყურამდეც აღწევდა. მიქოიანს კი სტალინმა მეგობარ ანასტას მარჯვენე გადახრაში დასდო ბრალი. ამიტომაც ორივე პერსონაჟი პოლიტიკურ პროცესს მოაცილეს.

უაღრესად საგულისხმოა ის გარემოება, რომ **ჯერ კიდევ ომამდელ XVIII ყრილობაზე სტალინმა გადახედა ქვეყნის მართვაში პარტიის როლს, რის შედეგად ძალაუფლების ბერკეტებმა ცენტრალური პარტორგანიზაციებიდან სსრ კავშირის სახალხო კომისრების საბჭოში გადაინაცვლეს**. 1946 წელს მთელ პარტაპარატში დარგობრივი განყოფილებები გაუქმდა, ცკ-ში მხოლოდ აგიტაციისა და პროპაგანდისა და კადრების სამმართველოები დარჩა. სტალინს მიაჩნდა, რომ პარტიას მხოლოდ აგიტაცია და კადრების შერჩევა-განაწილება უნდა დარჩენოდა, კონკრეტული სფეროების მართვა კი — სპეციალისტების საქმე უნდა ყოფილიყო, რასაც ქვეყნის მინისტრთა საბჭო უნდა გაძღოლოდა.

თუმცა კი ისიცაა, რომ 40-იანი წლების მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში სტალინი დროდადრო მაინც პარტიული აპარატის მხარეს იხრებოდა, ერთი ხანი პარტიული განყოფილებების როლიც აღადგინა, მაგრამ 1952 წელს კვლავ თავისი ადგილი მიუჩინა, კადრების როტაცია მოახდინა და სამინისტროების ხელმძღვანელებად დარგების მართვაში წარჩინებული ხალხი დააყენა. ბევრი დამსახურებული თანამებრძოლი კი — კაგანოვიჩი, ვოროშილოვი და სხვები კონკრეტულ საქმიანობას ჩამოაშორა და „წარმომადგენლობით“ თანამდებობაზე დანიშნა.

არადა, ამ ამბებიდან თითქმის ხუთ თვეში სტალინი მოულოდნელად გარდაიცვალა. არსებობს მრავალი პუბლიკაცია, რომელთა ავტორები აცხადებენ, რომ სტალინი თავისი სიკვდილით არ მომკვდარა.

ცკ-ის პლენუმისა და პარტიის XIX ყრილობის შემდეგ, ნოემბრის დასაწყისში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ამხანაგ სტალინის შვებულებაში გასვლის ან ავადმყოფობის შემთხვევაში, მის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობებს გიორგი მალენკოვი იტვირთებს, პარტიული ხაზით კი ამას ლავრენტი ბერია გააკეთებს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ 1952 წლის ნოემბერში, ფაქტობრივად, სტალინის ორი მემკვიდრე დადგინდა...

მოამზადა
ლალი ხუნდაძემ

◎ მკითხველი გვწერს

სახელგაგუორცნილ შვილებს გაფრთხილება უნდათ...

21 დეკემბერი იოსებ სტალინის დაბადების დღეა

ჯერ კიდევ დიდი ვაჟა-ფშაველა საყვედურობდა თავის სამშობლოს, რად აჩენ დიდად სახელოვან შვილებს, თუ მოვლისა და დაფასების თავი არა გაქვსო. **არ გეკადრება, არ გეკადრება ასეთი საქციელიო...**

ჭეშმარიტად სწორი, ვაჟასებური გენიალური განჭვრეტა იყო ამ აზრის გამოთქმა საუკუნეზე მეტი ხნის წინათ.

როცა საბოლოოდ დრო ისტორიას გაცრის, რა თქმა უნდა, იოსებ სტალინის სიდიადე ყოველგვარ ადამიანურ ნაკლს გადაწონის და ამ უდიდესი ისტორიული პიროვნების სახელი მანამ იცოცხლებს, სანამ თუნდაც ერთი ადამიანი შერჩება დედამიწას.

სწორედ დღეს, 21 დეკემბერს, მინდა, რომ ხმა მივაწვდინო ჩვენს საზოგადოებასაც და ჩვენს მთავრობასაც... 2019 წელს იოსებ სტალინის დაბადების 140 წლისთავია, ხოლო გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვების 74 წლისთავი.

ვფიქრობ, ჩვენი საზოგადოება, კერძოდ, ჩვენი მწერლები, პოეტები, მხატვრები, კომპოზიტორები, მოქანდაკეები თავიანთ სიტყვას იტყვიან ამ დიდი ისტორიული თარიღის ღირსეულად აღნიშვნისთვის...

ეჭვი არ მეპარება, რომ იმ დღისთვის არა მარტო გორში, არამედ თბილისშიც დაიდგმება იოსებ სტალინის ძეგლი, რათა აღდგეს ისტორიული სამართლიანობა. ეს მარტო ჩემი, ერთი ქართველი ქალის, აზრი არ არის, ასე ფიქრობს ყველა წესიერი მამულიშვილი ქართველი და არა მარტო ქართველი.

ნათელა დავითაშვილი,
თბილისი,
2017 წლის 20 დეკემბერი

◎ ტრადიცია

უკვდავი ჭრიო

გადის წლები, სპორტულ კარიერას ასრულებენ თაობები, მაგრამ დაუვიწყარია ლეგენდარულ 60-იანელთა ხსოვნა.

მიხვდით, ალბათ – საუბარია „ოქროს ბიჭებზე“, რომლებმაც 1964 წლის 18 ნოემბერს ტაშკენტის „პახტაკორის“ სტადიონზე თბილისის „დინამოს“ პირველი საკავშირო ტრიუმფი გამოჭედეს.

სახელოვან წინამორბედთა უკვდავყოფას, ტრადიციისამებრ, სამაგალითოდ ახერხებენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში.

ამჯერად ბარაქიანი უზბეკური შემოდგომის მთავარ შემოქმედთა – გუნდის კაპიტან შოთა იამანიძისა და სწორუპოვარი გარემარბების – მიხეილ მესხისა და სლავა მეტრეველის მემორიალზე მოგახსენებთ, რომელიც თსსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის (სპორტის დეპარტამენტის თავკაცი **სოლომონ ერგემლიძე**), სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის **ზაურ ფხალაძისა** და აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელის, ხსოვნის ტურნირის მთავარი მსაჯის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის **ვახტანგ ბაქანიძის** ინიციატივითა და თანადგომით გაიმართა.

12 გუნდის საინტერესო ბრძოლა „ინტერნაციონალის“ გამარჯვებით დასრულდა, რომელმაც ფინალში 6:1 დაჯაბნა „ლომთალომი“, ხოლო მესამე ადგილი მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენლებმა დაიკავეს.

როგორც ყოველთვის, სხვადასხვა ნომინაციაში გამორჩეული მონაწილენიც გამოვლინდნენ: **მეკარე** – შოთა სართანია, **მცველი** – გიორგი ვალიშვილი, **ბომბარდირი** – გიორგი პაიჭაძე (11 გოლი) და **საუკეთესო მოთამაშე** – სოსო გიოშვილი.

დავძენთ, რომ ჩემპიონებს სამახსოვრო თასი შოთა იამანიძის შვილიშვილმა, უმცროსმა შოთა იამანიძემ გადასცა.

გიორგი შოთაძე

სურათზე: **პირველ რიგში მარცხნიდან – შოთა იამანიძე, გიორგი ვალიშვილი, ავთანდილ ჩავლეიშვილი, გეგი ბაქრაძე. დგანან – ვახტანგ ბაქანიძე, შოთა სართანია, ბაქარ ტურაზაშვილი, სოსო გიოშვილი, ლაშა ოსეფაშვილი, ლუკა თვარაძე, ცოტნე სილაგაძე.**

◎ ინტერნეტიდან

ბელენი მოსუქებულა

წონის მატება მოდელებისა და მსახიობებისთვის როგორი კოშმარიცაა – ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავია და სამოდელო ბიზნესში ჩართულ ლამაზმანებს ზედმეტი კოლოგრამების აკრეფას ნამდვილად ურჩევნიათ, ნაშემოდგომარს, ეკლიან მინდორზე კენჭები ფეხშიშველებმა აგროვონ.

წონის მატების საფრთხეს, როგორც ჩანს, ვერც ცნობილი არგენტინელი მოდელი ბელენ როდრიგესი გადაურჩა, რომელიც ბოლო თვეებია საზოგადოებას გულმოდგინედ ემალება და, როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, ეს ჩვენი ბელენი ისე კოხტად ჩაკურატებულა, მისი მნახველი ლუარსაბ თათქარიძე აუცილებლად გადაყლაპავდა სიამის ნერწყვებს.

თუ არ იცით, შეგახსენებთ, რომ ბელენ როდრიგესი ადრე ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელის ხუან რომან რიკელმეს გულისსწორი იყო და ზანტმა ხუანმა ეს ქალი კინაღამ ცოლადაც მოიყვანა. ამის შემდეგ სენიორიტა ბელენმა მრავალი ცნობილი ადამიანის გული დაიპყრო და სარეცელი ააჭრაჭუნა, მაგრამ ოფიციალურ ქორწინებას ვერა და ვერ ეღირსა. ახლა კიდევ ეს წონის მატებაც და....

როსტომ რაჭველიშვილი

◎ კარგი დასაწყისი საქმის ნახევარია!

არც ერთი სამშენებლო ნებართვა არ უნდა გაიცეს, თუ სატვირთო მანქანების ჩამოსარეცხი მოწყობილობა არ ექნებათ

თბილისის მერის განცხადებით, „არც ერთ სამშენებლო კომპანიაზე, რომელსაც მოედანზე სატვირთო მანქანების ჩამოსარეცხი მოწყობილობა არ ექნება, ნებართვა არ გაიცემა“. მისივე თქმით, სამშენებლო მოედნებიდან გამოსული სატვირთო ავტომობილები ქუჩებს აბინძურებენ.

„როდესაც სატვირთო მანქანები შედიან სამშენებლო მოედნებზე, სადაც მიმდინარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები – სახლების მშენებლობა, სასტუმროების მშენებლობა, გამოსვლისას ქუჩებს აბინძურებენ. სრული კატასტროფა ხდება ამ მიმართულებით. მე მინდა, ვთხოვო ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურებს, ამ მიმართულებით დაიწყონ მუშაობა. არც ერთი ნებართვა არ უნდა იყოს გაცემული, სადაც არ იქნება მითითებული, რომ აუცილებლად უნდა მოეწყოს ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნება ჩამორეცხვა ამ მანქანების, იმისთვის რომ ცენტრალურ ქუჩებზე ნაგავი არ გამოიტანონ. არსებულ მშენებლობებსაც დავავალოთ, რომ ასეთი ადგილები იქნეს მოწყობილი. ჩვენ თუ ვსაუბრობთ ეკოლოგიის გაუმჯობესებაზე, ეს არ არის მხოლოდ სკვერების და პარკების რეაბილიტაცია და გაშენება. რა თქმა უნდა, ყველა მიმართულებით არის საჭირო მუშაობა და ამ მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა იყოს გამახვილებული“, – განაცხადა კახა კალაძემ თბილისის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე.

სადისტრიბუციო მანქანების გადაადგილება უნდა დარეგულირდეს

თბილისის მთავრობის სხდომაზე ქალაქის მერმა კახა კალაძემ ირაკლი ხმალაძესა და მაია ბითაძეს სადისტრიბუციო კომპანიებთან თანამშრომლობა დაავალა. კალაძემ ქალაქში საცობების პრობლემაზე ისაუბრა:

„რაც შეიძლება ძალიან სწრაფად ჩაინიშნოს შეხვედრა და ანალოგიურად დავიწყოთ მოლაპარაკებები მათთან, რომ დღის განმავლობაში იყოს კონკრეტული საათები, როდესაც მათ ქალაქში გადაადგილების შესაძლებლობა ექნება. რადგან ჩვენ ვსაუბრობთ საცობების მოწესრიგებაზე, ეს, რა თქმა უნდა, არის კომპლექსური პრობლემა და ამას სჭირდება მასშტაბური მიდგომები, თუმცა ის კომპონენტები, რაც ნარჩენების გატანას ეხება, იგივე ყვითელი სამარშრუტო მიკროავტობუსების სწორად მოძრაობას და სადისტრიბუციო კომპანიების გადაადგილებას, უნდა იყოს დარეგულირებული და ნაწილობრივ ხელს შეუწყობს იმ პრობლემის მოგვარებას, რაც ჩვენ საცობებთან დაკავშირებით გვაქვს. რა თქმა უნდა, ამას მოჰყვება სხვა ღონისძიებები, რომ საცობების პრობლემა ქალაქში იქნეს მოგვარებული. ამიტომ ჩემი თხოვნაა, შეძლებისდაგვარად სწრაფად მოხდეს შეხვედრა სადისტრიბუციო კომპანიებთან, რომ ეს ყველაფერი დავალაგოთ“, – განაცხადა კახა კალაძემ.

ყვითელი მიკროავტობუსები 14 ქუჩაზე მხოლოდ მოსაცდელებთან გააჩერებენ

თბილისის მერის განცხადებით, ე.წ. ყვითელი სამარშრუტო ტაქსები 14 ქუჩაზე მხოლოდ მოსაცდელებთან გაჩერებენ, – განაცხადა კალაძემ.

„გამოყოფილია 14 ქუჩა, სადაც მიკროავტობუსებს, ყვითელ სამარშრუტო ტაქსებს ექნებათ შესაძლებლობა, მხოლოდ და მხოლოდ მოსაცდელებზე გააჩერონ. ამით თავიდან ავიცილებთ ძალიან დიდ პრობლემას იმასთან დაკავშირებით, რომ ნებისმიერ ადგილზე აჩერებენ მიკროავტობუსები და მგზავრები, რომლებიც ჩამოდიან, გადარბიან ქუჩებზე, რაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. საფრთხეს უქმნიან საკუთარ თავს და მძღოლებსაც. შესაბამისად, ეს ყველაფერი უნდა მოწესრიგდეს. ასევე ქმნიან საცობებს, როცა ხდება ყველა ადგილზე გაჩერება. ეს მიდგომა უნდა შეიცვალოს. განვახორციელებთ საპილოტე პროექტს, იქნება 14 ქუჩა, სადაც მხოლოდ გაჩერებებზე გაჩერდებიან. ეს გააცანით მოსახლეობას.

მინდა, ვთხოვო ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურებს, რომ ამ 14 ქუჩაზე განახორციელოთ შესაბამისი ინფრასტრუქტურული სამუშაოები მოსაცდელების გასაფართოებლად, რომ ამ კონკრეტულ ადგილებზე საცობები მიზანმიმართულად არ შევქმნათ. ეს არის მოსაწესრიგებელი. ასევე მნიშვნელოვანია მოსახლეობისა და ამ სამარშრუტო ტაქსების მძღოლების ინფორმირება, რაიმე დისკომფორტი რომ არ გამოიწვიოს მძღოლებში და მოსახლეობაში,“ – განაცხადა კალაძემ.

განცხადება

2018 წლის 12 თებერვალს, 14 საათზე, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. კასპი, მერაბ კოსტავას ქ. №8) გაიმართება მდ. თეძამზე დაგეგმილი წყალსაცავის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში - ქ. კასპი, მერაბ კოსტავას ქ. №8;
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- ჯუღული ახვლედიანი. ტელ: 2 60 15 27; E-mail: j.akhvlediani@gamma.ge;

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ ადმინისტრაცია

სულთათანა

სიკვდილმა კიდევ ერთი ღირსეული ქართველით გაგვაღარიბა

ანზორ ბაბუხადიას გარდაცვალების გამო

ჩვენი ძვირფასი მეგობრის **ანზორ ბაბუხადიას** გარდაცვალება ნამდვილად მოულოდნელი მეხი იყო იმ უამრავი ადამიანისთვის, ვინც იცნობდა და, მით უმეტეს, თუ ურთიერთობაც ჰქონდა ამ გამორჩეულად დიდებულ ქართველ მამულიშვილთან.

ანზორ ბაბუხადია, შეიძლება თამამად ითქვას, იმ ქართველთა არცთუ დიდ რიცხვს ეკუთვნის, რომელი ქართველებიც თავიანთ თავში თვითონ საქართველოს, თვითონ ქართველი ხალხის ყველაზე საუკეთესო თვისებებს განახორციელებენ და რომელთა გაცნობითაც არაქართველები თვითონ საქართველოს და თვითონ ქართველ ხალხს ეცნობიან.

ეს ჭეშმარიტად სიცოცხლის ტრფიალი კაცი მთელი თავისი არცთუ ხანგრძლივი ცხოვრება ვარდისფერ გზად მონათლულ სიკვდილს ებრძოდა და „თანადგომად“ სახელდებულ თავისებურ „სულეთის გაზეთსაც“ გამოსცემდა... მალე ამ გაზეთის მთელი ერთი ნომერი თვითონ ძვირფასი ანზორის მარად დაუვიწყარ ხსოვნას მიეძღვნება.

არა, საყვარელო ძმაო ანზორ, შენთან სიკვდილს, ანუ სამუდამო დადუმებას რა ხელი აქვს! შენ მუდამ კვლავაც შენებურად, ქართულად, ვაჟკაცურად, ჭეშმარიტ მამულიშვილად იხმაურებ შენი ლამაზი ნაღვაწით.

შენ მუდამ ქართულ თეთრ ჩოხაში გამოწყობილი იტრიალებ შენს დედასავით საყვარელ საქართველოში. თეთრი ჩოხა კი, ალბათ, შენსავით ბევრს არ უხდებოდა, რადგან ის ჩოხა შენს აღნაგ ტანზე მუდამ შენი სპეტაკი სულის ანარეკლად ჩანდა.

„საქართველოს რესპუბლიკის“
რედაქცია

„თანადგომა“ და განზე მდგომნი...

ცნობილ ჟურნალისტსა და გაზეთ „თანადგომის“ მთავარ რედაქტორს, ალალმართალსა და ჭეშმარიტად მოღვაწე კაცს ანზორ ბაბუხადიას

მსურს, რომ სიტყვით შევამკო ანზორ ბაბუხადია!
მისთვის ეს საქართველო სანთელი და ხატია!...
წინაპართა საფლავნი წმინდად მოიაღდგომა,
რადგან არის მთავარი ძმობა და თანადგომა!
„თანადგომა“ კიბეა ზეცამდე აღმართული!
სულის მეხამრიდია და სიწმინდე ქართული!
ის, ვინც განზე მდგომია, იცის ბაბუხადიამ
და რომ ლომი-ლომია, ძუ არის თუ ხვადია!
იცის, კაცის სიტყვები წრფელია თუ მახეა,
რომ ერთგული შვილები ხალხის გულში მარხიან!
ფეხს ქვასაც არ წამოჰკრავს ანზორ ბაბუხადია...
რასაც წერს და წარმოთქვამს, ყველაფერი ნაღდია!

მზია ხეთაგური

მეუღლე თინათინ კანკავა, შვილები მიხეილ, ირაკლი ბაბუხადიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანზორ ლევანის ძე ბაბუხადია

პანაშვიდი 21, 22 XII, ირ. აბაშიძის №6. გამოსვენება 23 XII, 15 საათზე, საბურთალოს პანთეონის მიმდებარე ამაღლების ტაძრიდან. დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოზე.

უახლოესი ნათესავები მანანა სიხარულიძე, თამუნა გურეშიძე, დავით კიკნაძე იუწყებიან

ანზორ ლევანის ძე ბაბუხადიას

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 21, 22 XII, ირ. აბაშიძის ქ. №6. გამოსვენება საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან, 23 XII, 15 სთ.

ნოდარ, გულნაზ ემუხვარები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, ჭეშმარიტი პატრიოტის, საზოგადო მოღვაწის, ცნობილი პუბლიცისტის

ანზორ ბაბუხადიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს და მთელ სანათესავოს.

შპს „ენგურჰესის“ კოლექტივი უსამძიმრებს ბატონ მიხეილ ბაბუხადიას საყვარელი მამის

ანზორ ბაბუხადიას

გარდაცვალების გამო.



გუჩა დათუნაიშვილი ოჯახით იუწყება უახლოესი მეგობრის

ანზორ ბაბუხადიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს თანამშრომლები გამოვთქვამთ დიდ მწუხარებას საუკეთესო პიროვნების, თვალსაჩინო მუშაკის, ქვეყნის დამსახურებული ეკონომისტისა და ჭირში „თანამდგომი“

ანზორ ბაბუხადიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ გარდაცვლილის ოჯახს.

ლამარა, ვალერი კანკიები მწუხარებას გამოთქვამენ ოჯახის მეგობრის, საუკეთესო პიროვნების, ბატონ

ანზორ ბაბუხადიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ზურაბ ანჯაფარიძის ფონდის, ქართველი მეტალურგების, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს განყოფილების წევრთა სახელით მარინე მაჭავარიანი და გურამ ქაშაკაშვილი მწუხარებით იუწყებიან ზურაბ ანჯაფარიძის პრემიის ლაურეატის, რუსთაველის საზოგადოებისა და საქართველოს ეკონომისტთა აკადემიის აქტიური წევრის, გაზეთ „თანადგომის“ მთავარი რედაქტორისა და გამომცემლის, ღირსეული მამულიშვილის

ანზორ ბაბუხადიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლო მეგობრებს.

სანთელი

ქართული ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რედაქციის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, ისტორიის რედაქციის ყოფილი გამგე, დამსახურებული ჟურნალისტი

შოთა ცირეკიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ნუგზარ ცხოვრებაშვილი, გოგა ცენტერაძე, თემურ კვარაცხელია, თენგიზ აფხაძე, გია ცერცვაძე, ოთარ ტურაბელიძე, მამუკა ვაშაკიძე მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, უკეთილშობილესი პიროვნების

თენგიზ კაციტაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

თბილისის რკინიგზის ინსტიტუტის 1958 წლის კურსდამთავრებულები ფერდინანდ ლორთქიფანიძე, მერაბ ანთელავა, ლერი კოხრეიძე, აკაკი გონგლაძე, რომან კოპლატაძე, ნესტორ კოტრიკაძე, გიორგი წითლანაძე, რეზო ხომერიკი, უშანგი ყუბანეიშვილი იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ უახლოესი მეგობარი და თანაკურსელი

დიმიტრი ფარესაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

საყდრისს სტატუსი საფუძვლიანი შესწავლის გარეშე მოუხსნა

საყდრისი-ყაჩაღიანის მაღაროს საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლომ ორწლიანი განხილვის შემდეგ, გადაწყვეტილება გამოიტანა. მოსამართლემ სამოქალაქო სექტორისა და „საიას“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა.

მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით კანონი დაირღვა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ძეგლს სტატუსი საფუძვლიანი შესწავლის გარეშე მოუხსნა.

„რა გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ეს არ ცვლის იმ მოცემულობას და პასუხისმგებლობას, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობდით, მათ შორის „საიას“ მიერ მომზადებულ ორ კვლევაში,“ — აღნიშნა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ სულხან სალაძემ.

ვულოცავთ!

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი **„მამულიშვილთა გახსენება“** მიესალმება და გულთბილად ულოცავს **დამდეგ შობა-ახალ წელს** ბატონი **შაქრო ბარათაშვილისა** და ქალბატონი **უმიან სურმანიძის** საამაყო შვილებს: საქართველოს სახელოვან მამულიშვილებს, თავისი ერისა და სამშობლოს გულანთებულ პატრიოტებს, ბათუმის **შოთა რუსთაველის** სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ღირსების ორდენის კავალერს, პროფესორს, ბატონ **დავით ბარათაშვილს,** უცხოეთში მოღვაწე ცნობილ ბიზნესმენსა და ქველმოქმედს, სიკეთის მთესველს, დიდ კეთილშობილ პიროვნებას, ბათუმის საპატიო მოქალაქეს, სახელმწიფო უნი-

გურამ, დავით, ავთანდილ, დარიკო და შოთა ბარათაშვილები

ვერსიტეტის საპატიო დოქტორს, ბატონ **ავთანდილ ბარათაშვილს,** ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს, ბატონებს **გურამ, შოთა** და ქალბატონ **დარიკო ბარათაშვილებს.** ამასთანავე, გვინდა გამოვხატოთ ღრმა პატივისცემა და მადლობა ვუთხრათ ბატონ **ავთანდილს,** ფონდის პრეზიდენტის, ბატონი **ბონდო კობაძისათვის** სიცოცხლის ბოლომდე ყოველთვიურად **გაორმაგებული** სტიპენდიის დანიშვნისთვის, რომელიც შეადგენს 1000 ლარს.

ვუსურვებთ მათ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს თავიანთი ოჯახებისა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლაში.

ღმერთმა უმრავლოს სრულიად საქართველოს ასეთი სახელოვანი შვილები.

საუკეთესო საახალწლო სურვილებით:
საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „მამულიშვილთა გახსენების“ გამგეობა.

ბუკინისტი იყიდის:

მე-18-მე-19 საუკუნეში გამოშვებულ წიგნებს — 1500 ლარად, საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუეტებს — 200 ლარად, ძვირად იყიდის 1945 წლამდე გამოშვებულ ჟურნალებს, მისალოც ბარათებს, გრავიურებს, ნახატებს, ხელნაწერებს, პლაკატებს, საბავშვო წიგნებს, მოვერცხლილ ან ვერცხლის ჭურჭელს.

591-75-35-38.

ნათია თოდუა:

მიხარია, ხელი რომ არ ჩავიქნიე!..

როგორც უკვე გაცნობეთ, 21 წლის მომღერალი ნათია თოდუა გერმანული „ახალი ხმის“ გამარჯვებული გახდა, ქართველმა გოგონამ, რომელიც ორი თვე რეიტინგული შოუს მონაწილე იყო, მაყურებელთა ხმების 50% მოიპოვა. მეორე ადგილზე გასულმა კონკურსანტმა ხმების 25% მიიღო.

ნათია თოდუამ გერმანულ „ახალ ხმაში“ გამოჩენამდე გრძელი გზა გაიარა, ჯერ იყო ქართული „იქს ფაქტორი“, შემდეგ კი უკრაინული მუსიკალური შოუ, თუმცა მან ვერც ერთში ვერ მოახერხა ფინალამდე მიეღწია. სამაგიეროდ, გაუმართლა გერმანიაში. AMBEBI.GE ნათია თოდუას გერმანიაში დაუკავშირდა და გამარჯვების შემდეგ მისი პირველი ემოციები მოისმინა:

— ნათია, გილოცავთ გამარჯვებას, ელოდით ასეთ წარმატებას?

— ვერანაირად ვერ წარმოვიდგენდი, თუ მე გავხდებოდი პროექტის გამარჯვებული. ეკრანზე ჩემი სახელი რომ დაეწერა, ისე გამიხარდა, შოკში ჩავვარდი და ახლაც ვერ გამოვდივარ მდგომარეობიდან. ძალიან ბედნიერი ვარ ამ დიდი წარმატებით. ახლა უკვე სტუდიაში ვარ და სხვა ფინალისტებთან რეპეტიციები მაქვს, გერმანიაში ვიწყებთ ტურნეს. როგორც პროექტის გამარჯვებულს, კონტრაქტი მაქვს იმ კომპანიებთან, რომლებიც „ვოისის“ სპონსორები არიან.

— თქვენს გამარჯვებას საქართველოში დიდი გამოხმაურება მოჰყვა, წაიკითხეთ რას წერენ თქვენზე ქართველები?

— სამწუხაროდ, დრო არ მქონდა, შეფასებები წამეკითხა. მადლობაც კი ვერ გადავიხადე. როგორც კი მექნება თავისუფალი დრო, ყველას სათითაოდ გადავუხდი მადლობას ამ მხარდაჭერისთვის!

— რა პრიზები გადმოგეცათ როგორც პროექტის გამარჯვებულს?

— ალბომის ჩაწერა, მანქანა და ტურნე გერმანიის დიდ ქალაქებში — ეს არის ის პრიზები, რომელიც გადმომცეს პროექტში გამარჯვების შემდეგ.

— ფულადი პრიზი არ გადმოგეცათ?

— თანხას ტურნეებიდან გადამიხდიან.

— ნათია, სოციალურ ქსელში აქტიურად აკრიტიკებენ სოფო ტოროშელიძეს იმისთვის, რომ წლების წინათ, მას თქვენი ნამღერი ხელოვნურად მოეჩვენა და „იქს ფაქტორში“ გითხრათ — არა. იყო თუ არა ეს შეფასება თქვენთვის ასეთი წარმატების მიღწევის სტიმული?

— დარწმუნებული ვარ, ერთადერთი არ ვარ, ვინც ცუდი გამოცდილება მიიღო თავის ქვეყანაში არსებულ კონკურსებზე. ვიღაცა ხელს ჩაიქნევს ამის გამო, ვიღაც — პირიქით, უფრო რისკავს. მიხარია მაშინ ხელი რომ არ ჩავიქნიე, მუშაობა გავაგრძელე და დღეს აქ ვარ.

— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ევროვიზიაზე გერმანიას წარადგენთ...

— ეს გადაწყვეტილი არ არის, ახლა ტარდება თათბირი და ვნახოთ, რა გადაწყდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გასაცინებელი ა(მ)ბები

მნიშვნელობა არა აქვს

გონებაგაფანტული პროფესორი ნაცნობს ხვდება.

— ხვალ ჩვენთან მობრძანდით სადილად, ეუბნება იგი ნაცნობს, — სტუმრად ცნობილი არქეოლოგი კოვალსკი გვეყოლება.

— ის კოვალსკი ხომ მე ვარ.

— რას მეუბნებით? მნიშვნელობა არა აქვს, მაინც მობრძანდით...

ლამაზი ცოლი

ორი დიდი ხნის უნახავი მეგობარი ხვდება ერთმანეთს.

— ცოლი როგორ გყავს? — ეკითხება ერთი, — ისეთივე ლამაზია, როგორიც ადრე იყო?

— კი, ოღონდ ახლა უფრო მეტ დროს ანდომებს სილამაზის შენარჩუნებას.

ტრამვაიში

ტრამვაის ვაგონის ბოლოში მთვრალი ძლივს დგას ფეხზე.

მავანი შარიანი მგზავრი კონდუქტორს მიმართავს:

— პან კონდუქტორო, მთვრალებს რატომ უშვებთ ტრამვაიში?

— სსუუ... — ეჯავჯგურება მგზავრს მთვრალი.

— კონდუქტორს ნუ ეკითხები. მაგრა დადექი, ნუ ქანაობ და ვერავინაც ვერ შეგატყობს... ვერაფერს.

ვინ უკეთესია?

ერთ საზოგადოებაში სიტყვა ჩამოვარდა იმაზე, თუ ვინ უკეთესები არიან — ქალები თუ კაცები?

— რასაკვირველია, ქალები, — თქვა ერთერთმა ქალმა. — მე ჯერ კიდევ არ შემხვედრია ისეთი ქალი, რომ ვინმე სულელ კაცს გამოჰკიდებოდეს ლამაზი ფეხების გულისთვის...

გამოიწერეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5473; ევრო - 3.0081;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4055;
100 რუბლი - 4.3471; თურქული ლირა - 0.6627;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4984;
1000 სომხური დრამი - 5.2739.

ამინდი 21 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+14
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+10
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+4,	დღე	+13
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+10
თბილისი:	ღამე	+4,	დღე	+13

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge